ჩვენი რედაქცია ახალ მისამართზეა: მაჩაბლის 7. ტელ. 2 93 37 87.

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 28 აპრილი, 2015 წელი.

№76 (7721)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

რა გარიგება შედგა უსუფაშვილსა და სააკაშვილს შორის?

უკრაინული მედია სკანდალურ ჩანაწერს აქვეყნებს

სააკაშვილი: — აქამდე როგორ უთმენთ ამ გაუნათლებელ სოფლელს, დათო?

უსუფაშვილი: — ის სხვა პლანეტაზეა, ერთობა თავისი ტელეპროგრამით, ბატონო მიშა.

სააკაშვილი: — ხო, დავით, ვუყურებ და ბევრს ვიცინი. მისმინეთ: მოკლედ ჩვენ მალე გადავწყვეტთ! აქცია 26 მაისს გაიმართება თუ მოგვიანებით? 26-ში ბურჯანაძე და სხვები დაიწყებენ ლაყბობას და შეიძლება, ხელი შეგვიშალონ, ჩვენ გამოგივლით და შეგატყობინებთ. მთავარია, ყველაფერი გავაკეთოთ ისე, როგორც მოვილაპარაკეთ. თქვენ უნდა იყოთ ხალხთან და ხალხს ჩვენ წარვმართავთ იქ, სადაც საჭიროა. ამ გაუნათლებელ დებილებს ცოტა დარჩათ! ყველანი გაიქცევიან ვირთხებივით და ეს პინგვინი ვერ გაფრინდება!

③

ნურსულთან ნაზარბაევი კვლავ პრეზიდენტია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს ხელახალი ვადით არჩევა მიულოცა.

„საქართველოს მთავრობის და ჩემი სახელით, მინდა გულწრფელად მოგილოცოთ პრეზიდენტად კიდევ ერთხელ არჩევა. დარწმუნებული ვარ, საქართველოსა და ყაზაზეთის მეგობრული ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება და განვითარდება. თქვენო აღმატებულებავ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გამოვხატო თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემა და გისურვოთ წარმატება, მშვიდობა და კეთილდღეობა“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის მილოცვაში.

ყაზახეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია წინასწარ შედეგებს აქვეყნებს, რომლის მიხედვითაც, ნაზარბაევმა არჩევნებში მონაწილეთა ხმების 97,7 პროცენტი დააგროვა.

ცანავას რომ ფეხებს ვერ მოსჭამ, მის ბოსებს დააკლებ რამეს?!

③

რა უნდა შეიცვალოს უსახლკარობისა და უმუშევრებისთვის საკანონმდებლო დონეზე?

⑥

ასეთი პრეზიდენტის ინსტიტუტი, სულ რომ არ იყოს, ისა სჯობს!..

⑤

„შავფაროსნებმა“ რომი „დაიპყრეს“

„შავფაროსნებმა“ რომის ფესტივალზე ევროპის 30-მდე ქვეყნის წარმომადგენელს შორის საუკეთესო მონაწილის სტატუსი მოიპოვეს.

„შავფაროსნები“ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და მასშტაბურ ფესტივალზე Natale di Roma საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაემგზავრნენ. საქართველოს სახელით, რომის ფესტივალზე ქართული კულტურის რამდენიმე მიმართულება, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნებმა“ და ანსამბლმა „ჩვენებურებმა“ წარადგინეს.

ევროპის უძველესი დედაქალაქის, რომის დაარსებისადმი მიძღვნილი ფესტივალის სანახავად ტურისტები იტალიაში მთელი მსოფლიოდან ჩადიან, რადგან ამ დღეს რომში ევროპის ანტიკური ისტორია ცოცხლდება.

ფესტივალის ფარგლებში კოსტიუმირებული აღლუმი იმართება. აღლუმზე, რომელსაც მაყურებლის უწყვეტი ნაკადი მიუყვება, ყველა ქვეყანა საკუთარ კულტურას და საბრძოლო ისტორიას წარადგენს.

მსოფლიოს მომავლის პროგნოზი 2099 წლამდე...

⑧

შეხვედრა მხარის რწმუნებულებთან

რეგიონებში **არსებული მდგომარეობა და მიმდინარე რეგიონული პროექტები განიხილეს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მხარის რწმუნებულებთან გამართულ გუშინდელ სამუშაო შეხვედრაზე.**

მთავრობის მეთაურმა გუბერნატორებისგან მოისმინა ინფორმაცია სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების შესახებ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ტურისტული სეზონისთვის მზადების საკითხებს.

სოსანაშვილის ადვოკატის ინფორმაციით, გენინსპექციის სამმართველოს უფროსს როინ ასანიძეს დნმ-ის ნიმუში აუღეს

პროკურატურამ დააკმაყოფილა გია სოსანაშვილის ადვოკატის შუამდგომლობა და გენინსპექციის სამმართველოს უფროსს როინ ასანიძეს დნმ-ის ნიმუში აუღეს, — ამის შესახებ იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებული გია სოსანაშვილის ადვოკატმა სოსო ჯოგლიძემ განაცხადა.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, დნმ-ის კვალი გენინსპექციის სამმართველოს უფროსს დაზარალებულისა და ბრალდებულის მხარის თანდასწრებით აუღეს.

როგორც ადვოკატი აცხადებს, თუკი დადასტურდება, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქების ადგილას აღებული დნმ-ის ნიმუში დაემთხვევა გენინსპექციის სამმართველოს უფროსის დნმ-ს, იგი გია სოსანაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას მოითხოვს.

რამდენიმე დღის წინ სოსანაშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინფორმაციით, გენინსპექციის სამმართველოს უფროსმა როინ ასანიძემ დნმ-ის ნიმუში საკუთარ კაბინეტში აუღო სოსანაშვილს, შემდეგ კი ე.წ. სკოჩის მეშვეობით დნმ-ის კვალი დატოვა აფეთქების ადგილას. ადვოკატი აცხადებს, რომ სწორედ აღნიშნულის შემდეგ საფლავთან შემთხვევით დარჩა ასანიძის კვალიც და ის დნმ-ის ნიმუში, რომლის იდენტიფიცირებაზეც პროკურატურა მუშაობს, სწორედ ასანიძეს ეკუთვნის.

თამარაშვილის ქუჩის მცხოვრებლები ბიძინა გიორგობიანის წინააღმდეგ

თბილისში, თამარაშვილის ქუჩის №13-ში მცხოვრებნი მრავალწლიანი ხეების მოჭრას აპროტესტებენ. ტერიტორია, სადაც ხეები მოიჭრა, კერძო კომპანიას აქვს შემოსაზღვრული.

მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე შესვლას და ვითარებაში გარკვევას ითხოვდა, თუმცა, კომპანიის წარმომადგენლებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს.

მოქალაქეების განცხადებით, მშენებლობა სკვერში უნდა განხორციელდეს, რისთვისაც რამდენიმე ხე უკვე მოჭრეს და სულ 30-მდე ხის მოჭრა იგეგმება.

მოსახლეობა აცხადებს, რომ ხეების მოჭრაზე ნებართვა თბილისის მერიის გამწვანების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ბიძინა გიორგობიანმა გასცა.

ადგილზე ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელიც იმყოფებოდა, რომლისგანაც მოსახლეობა ხეების მოჭრის პროცესის შეჩერებას ითხოვდა. ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის თქმით, ხეების მოჭრის პროცესის შეჩერების უფლება არ აქვს და ამისათვის მოქალაქეებმა სასამართლოს უნდა მიმართონ.

ზედამხედველობის საქალქო სამსახურის წარმომადგენელმა მომხდარზე კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა.

კომპანია „არქი ჯგუფი“ ადგილზე ოთხი კორპუსისგან შემდგარი კომპლექსის მშენებლობის პროექტს „გრინ სითის“ ახორციელებს.

თამარაშვილის ქუჩის მცხოვრებლები აპირებენ, მომხდარი არასამთავრობოებთან ერთად გააპროტესტონ.

◎ ვინ — ვის?

...სად იყო წამსვლელი საკაშვილი?!

ეჟო — „20/30“-დან

გადაცემა „კვირის 20/30“-ში კვლავ აქტუალური იყო კოჟორიძე-გიგაური-ლომჯარიას თემა. ბიძინა ივანიშვილმა „ენჯეოშნიკებს“ არაობიექტურობაში დასდო ბრალი, ისე, როგორც წინა გადაცემაში, თუმცა, ამჯერად ამ გვარების ხსენება, უბრალოდ სიტყვამ მოიტანა, სხვა არაფერი. ძირითადად საქმე ეხებოდა იმ ნაციონალებს, რომლებმაც ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ მესამე სექტორში გადაინაცვლეს და ახლა იქიდან უტევენ მთავრობას. „ონიანი, ფირცხალავა, უტიაშვილი, ან ახალაიას მეუღლე, რომელიც ძალიან აქტიურობს, ნაკლებად სახიფათოა არასამთავრობო სფეროსთვის და საზოგადოებისთვისაც. ისინი ობიექტურობაზე ვერც კი შეგეკამათებიან, რადგან პირდაპირ ეწევიან ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდას. ხალხი, რომელმაც თავისი სახე დაკარგა პოლიტიკაში, ახლა არასამთავრობო სექტორში ცდილობს განწმენდას“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერის თქმით, მას პრეტენზიები აქვს იმ არასამთავრობოებთან, რომლებიც ობიექტურობის ნიშს არიან ამოფარებულნი და ამ დროს, თავიანთი ქმედებით წყალს ნაციონალების წისქვილზე უშვებენ. ამ გვარებში მოხვდნენ კოჟორიძე და გიგაური. **„გავიხსენოთ წამების კადრები, ადამიანის პირად ცხოვრებაზე გადაღებული, როცა ჩვენებაზე ჟურნალისტები დაპატიჟეს, სწორედ ამ პირებმა — გიგაურმა, კოჟორიძემ და ლომჯარიამ მოითხოვეს, არ ეყურებინათ ამ კადრებისთვის, იმ მიზეზით, რომ დაზარალებულთა ამოცნობა არ მომხდარიყო. ვინც ნახა, აღნიშნა, რომ ვინმეს ამოცნობა ამ კადრებიდან შეუძლებელი იყო“,** — განაცხადა ივანიშვილმა. მან ასევე გაიხსენა ხმაურიანი კამპანია მოსმენებთან დაკავშირებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანგარიშები არჩევნების მონიტორინგის შესახებ და მათ ტენდენციურობაში დასდო ბრალი. როგორც გიგაურის ორგანიზაცია ამტკიცებდა, 2012 წლის არჩევნები იმაზე გამჭვირვალედ ჩატარებულა, ვიდრე 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. **„გიგაური 2012 წლის არჩევნებს წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს, — განმარტავს ყოფილი პრემიერი, — არადა, ის არჩევნები ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაატარა. ამ ქალბატონს მინდა ვუპასუხო, როგორც სააკაშვილი ამბობდა, მშვიდობიანად კი არ გადმოგვაბარეს ხელისუფლება, არამედ ისეთი ორგანიზება გავაკეთეთ, რომ ვაიძულეთ ძველი ხელისუფლება, ხელის განძრევის გარეშე, უსისხლოდ წასულიყო, თორემ, სად იყო წამსვლელი სააკაშვილი? მთელი ამერიკა და ევროპა აწვებოდა, როგორმე გასულიყო პოლიტიკიდან, მაგრამ ვერც ვერავინ დაითანხმა“.**

რაც შეეხება კახა კოჟორიძეს, ყოფილი პრემიერის თქმით, იგი საინტერესო აღარაა, რადგან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაბარგებით მან თავისი პოზიციები გაამჟღავნა. **„კოჟორიძე ცრუობს, როცა ამბობს, რომ მასზე ფილმის გადაღებას აპირებს ივანიშვილი. ეს ტიპური ნაციონალების პროპაგანდაა“,** — აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა „GDS“-ზე. რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილის პოზიციას პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით, ივანიშვილი ჰპირდება, რომ მის აბსურდულ განცხადებებს უახლოეს მომავალში უპასუხებს.

სამაგიეროდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური ბიძინა ივანიშვილს უპასუხოდ არ ტოვებს. ივანიშვილის მიერ მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას გიგაური სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ეხმაურება და „კომიკურს“ უწოდებს: „დავიწყოთ იქიდან, რომ საერთო ჯამში გადაცემის მთავარი არსი ვერ გავიგე. რაც გავიგე, არის ის, რომ:

1. კრიტიკას ვერ იტანს, ჩვენი ანგარიშები არ წაუკითხავს და არც ანალიზს გაცნობია ზედმიწევნით.

2. კამპანია „ეს შენ გეხება — ისევ გვისმენენ“ არამართებულად და უადგილოდ მიაჩნია. კიდევ კარგი, არ იცოდა, რომ საკონსტიტუციოში უკვე ჩაინიშნა ჩვენი სარჩელის განხილვა, სადაც მისთვის მისაღებ, ანუ შსს მიერ ჩვენს საუბრებზე პირდაპირი წვდომის ნორმას ვასაჩივრებთ, თორემ არც სასამართლოსთვის დირექტივის მიცემას მოერიდებოდა.

3. მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საზოგადოება სახეზე ცნობდეს ყველა იმ ადამიანს, რომელიც ციხეში აწამეს და გააუპატიურეს (ალბათ, ასე წარმოუდგენია მას ამ ხალხის რეაბილიტაცია), ხოლო მე და კახა კოჟორიძე თუ ამას ვეწინააღმდეგებოდით და ეფექტურ გამოძიებას ვითხოვდით, „ნაცები“ ვყოფილვართ (იმედია, გაარკვევს, რომ წამების ყველა ფაქტი ჯერ არ არის გამოძიებული და არც ყველა მოძალადე დასჯილა.. კარგი იქნება, თუ პროკურატურასაც ასე გულანთებული გააკრიტიკებს). ისე, არც შსს-ში შექმნილი ვიდეო არქივის საქმე გამოძიებულა, ესეც ჩემი ბრალია, ალბათ...

4. და ბოლოს, ცხადია ხაინდრავას და ადამაშვილის მესიჯ ბოქსზე ზის, უფრო სწორად, ესენი ასრულებენ მის დავალებას (იმედია, იცის, რომ მათ უკვე ვუჩივლე სასამართლოში), ანალიზი ყველამ თვითონ გაკეთოს. ისე, შსს თუ გამჭვირვალე და აპოლიტიკურია, ორი თვეა, ვითხოვ იმ დოკუმენტებს, რაც საფუძვლად დაედო ჩემთვის 8 წლის წინათ, სამსახურში უმცროსი წოდების მინიჭებას, მაგრამ არ მაძლევენ, აქაც რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, თორემ შსს ხომ მომაწვდიდა, რა აქვს დასამალი?

მგონია, რომ სიტუაცია საერთო ჯამში კომიკური იყო. განსაკუთრებით იმიტომ, რომ საკუთარი ტელევიზიის საკუთარი გადაცემიდან, თავისი ექსპერტების მეშვეობით აკრიტიკებდა მედიას და არასამთავრობოებს და მათ წინა მთავრობასთან გარიგებას აბრალებდა, მაშინ, როდესაც თვითონ ბოლო ორი მთავრობის მთავარი დამფინანსებელი იყო.

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ყველაზე სწორი აზრი, ალბათ, ის იყო, რომ პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობის შემდეგ მიზანშეწონილი არ არის პირის მიერ მაშინვე არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მთავრობის მონიტორინგს ახორციელებს. ეს ერთადერთი სწორი ანალიზი იყო, რომელსაც მე ვეთანხმები“, — წერს გიგაური.

თეა მოსია

ზესტაფონის ბაზარი - აუღებელი ციხე-სიმაგრე

ზესტაფონში ბაზრის მოვაჭრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების თქმით, ძველი საკოლმეურნეო ბაზრიდან ისინი მოტყუებით ახალ ბაზარში გადაიყვანეს, ახლა კი შესაბამის პირობებს არ უქმნიან.

„ჩვენთვის კარგი იყო ის ძველი ბაზარი. აქ ყველაფერზე წუწუნებს ბაზრის ადმინისტრაცია. გვერდით დახლზე ქუდი რომ დადო, იმაზეც ერთ ამბებს ტეხავს, თუ უახლეს მომავალში ჩვენი პრობლემები უკეთესობისკენ არ შეიცვლება, ძველ ბაზარში დავბრუნდებით“,— აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე მანანა დოლიძე.

აქციის მონაწილეები ასევე ზესტაფონის ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვითაც იმუქრებიან.

◎ უკრაინული მედია სკანდალურ ჩანაწერს აქვეყნებს

რა გარიგება შედგა უსუფაშვილსა და სააკაშვილს შორის?

ძვირფასო მკითხველო, სერგეი კირნიკის მიერ გავრცელებული მასალის ჭეშმარიტებაზე, რა თქმა უნდა, თავს ვერ დავდებთ და მიუხედავად იმისა, რომ კომენტარისგანაც თავს ვიკავებთ, ერთს აუცილებლად დავძენთ – ვთვლით, რომ უკრაინული მედიის მიერ გავრცელებული მასალა ქართველმა მკითხველმა აუცილებლად უნდა ნახოს! სიმართლესა და ჭორს შორის დიდი სხვაობაა, მით უფრო, თუ ეს ჭორი შესაძლო ცილისწამებაც შეიძლება აღმოჩნდეს... თუმცა, იმედს ვიტოვებთ, პარლამენტის თავმჯდომარის პრესსამსახური შესაბამის კომენტარსაც გააკეთებს ქვემოთ მოყვანილი მასალის გამო!

უკრაინის პრეზიდენტის აპარატის თანამშრომელი სერგეი კირნიკი აცხადებს, რომ უსუფაშვილმა უკრაინაში ვიზიტისას იაცენიუკთან შეხვედრის შემდეგ მას პრეზიდენტის აპარატში მიყვანა სთხოვა.

უსუფაშვილის თხოვნის შესაბამისად, ისინი საქართველოდან ჩასულ ოფიციალურ დელეგაციას გამოეყვნენ და დავით უსუფაშვილი მეუღლესთან ერთად „ლუტერანსკაიას“ ქუჩის 17 ნომერში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.

კირნიკის განცხადებით, ადმინისტრაციის შენობაში მათ ელოდათ სააკაშვილი და დაბალი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. სააკაშვილმა გულმხურვალედ გადაკოცნა უსუფაშვილი და მისი ცოლი.

კირნიკის განცხადებით, მან უსუფაშვილის, მისი მეუღლისა და სააკაშვილის საუბარი ჩაიწერა:

სააკაშვილი: – დათო, ახლა ყველაფერი კარგად იქნება, მე ჩავრთე სხვა ხალხი და ის შეცდომები, რომელიც დებილებმა, გიგიმ და გივიმ დაუშვეს, აღარ განმეორდება. 50 000 არ იქნება პრობლემა, რეალურად გაცილებით მეტი იქნება. შენ ხო ხედავ, ჩვენი პროექტი რეგიონებში უკვე მუშაობს, მთელ ხალხს გამოვიყვანთ.

უსუფაშვილი: – ბატონო მიშა, თქვენ გესმით, რომ ჩვენ ძალიან ვართ დამოკიდებულნი ბიძინას ფინანსებზე?

სააკაშვილი: – დაიცადე, დაიცადე დავით, მე ხომ ვთქვი, რომ ფინანსური საკითხები გადაწყვეტილი მაქვს და თქვენ, რასაც შეგპირდით, გავაკეთებ.

ხიდაშელი: – ბატონო მიხეილ, ჩვენ კონკრეტულად უნდა ვიცოდეთ. რისკი დაუშვებელია და საერთაშორისო მხარდაჭერაა აუცილებელი.

სააკაშვილი: – თინა, შენ როგორც ყოველთვის, მოვლენებს წინ უსწრებ. ამერიკელებმა თქვენ უკვე გაგაფრთხილეს და საელჩოც კონტაქტშია თქვენთან. იმ ანგარიშებზე, რომელიც თქვენ გადმოგვეცით, პარასკევს შევაგდებ 100-ს და ყოველ თვე გამოვაგზავნი 30-ს, კიდევ 60 ათასს მიიღებთ თბილისში.

ჩანაფიქრის განხორციელების შემდეგ, დათო დარჩება პარლამენტის თავმჯდომარედ, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი შენი იქნება, თინა.

ხიდაშელი: – კარგი, ეს ჩვენ გვაწყობს, მაგრამ, თუ თქვენ ვერ გამოიყვანთ ხალხს, ჩვენ არ ვიმოქმედებთ, არ ჩავერევით და ფულსაც არ შევეხებით.

სააკაშვილი: – დაიცადე თინა! დათო ეს რა კონიაკია? ასეთი არ მინახავს...

უსუფაშვილი: – ეს ენისლის სპეციალური სასაჩუქრე ჩამოსხმაა. თქვენთვის წამოვიღეთ.

სააკაშვილი: – დიდი მადლობა, ძალიან საინტერესოა, მაგრამ მოგვიანებით გავხსნი. „ხოხოლებს“ გავუმასპინძლდები, ალკოჰოლი აქ მალე თავდება.

უსუფაშვილი: – რა თქმა უნდა, კიდევ გამოგიგზავნით ღვინოს და კონიაკს, თელავში ჩვენებს ქარხანა აქვთ.

სააკაშვილი: – მადლობა დავით. შენ ხომ იცი, მარგველა ჩვენთანაა და საჭირო მომენტში იტყვის თავის სიტყვას.

უსუფაშვილი: – კი გიორგისთან კოორდინაციაში ვარ.

სააკაშვილი: – აქამდე როგორ უთმენთ ამ გაუნათლებელ სოფლელს, დათო?

უსუფაშვილი: – ის სხვა პლანეტაზეა, ერთობა თავისი ტელეპროგრამით, ბატონო მიშა.

სააკაშვილი: – ხო, დავით, ვუყურებ და ბევრს ვიცინი. მისმინეთ: მოკლედ ჩვენ მალე გადავწყვეტთ! აქცია 26 მაისს გაიმართება თუ მოგვიანებით? 26-ში ბურჯანაძე და სხვები დაიწყებენ ლაყბობას და შეიძლება, ხელი შეგვიშალონ, ჩვენ გამოგივლით და შეგატყობინებთ. მთავარია, ყველაფერი გავაკეთოთ ისე, როგორც მოვილაპარაკეთ. თქვენ უნდა იყოთ ხალხთან და ხალხს ჩვენ წარვმართავთ იქ, სადაც საჭიროა. ამ გაუნათლებელ დებილებს ცოტა დარჩათ! ყველანი გაიქცევიან ვირთხებივით და ეს პინგვინი ვერ გაფრინდება!

მოამზადა **თეონა რამაზაშვილმა**
reportiori.ge

◎ საქმეს მიხედეთ, საქმეს!

ცანავას რომ ფეხებს ვერ მოსჭამ, მის ბოსებს დააკლებ რამეს?!

დიდმა მეცნიერმა კაპიცამ ნახევრად ხუმრობით თქვა თურმე: მზის სისტემა ადამიანს არ აღმოუჩენია, ის ისედაც არსებობდა, უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანებმა ის დაინახეს!

აი, აღმოჩენები ჩვენში უნდა ნახოთ! თანაც ისე გაოცებულები ვრჩებით ხოლმე, თითქოს არ ვიცოდით, უფრო სწორად, თითქოს „ოცნებამ“ არ იცოდა, რომ მათ მიერ გაქაჩული ერთ-ერთი ქალაქის მერი 2012 წელს არჩევნებში ნაცებს აფინანსებდა; პროკურატურაში თურმე არის ქალბატონი, რომელიც დღემდე აწვდის ინფორმაციებს ნაციონალებს. ეს ისე, ვიცით, რომ არის, თორემ აღმოჩენით, მერე აღმოვაჩენთ, როცა საქმეს დასჭირდება. სწორედ ისე, როგორც ვიცოდით, ვინ აწვდიდა შსს-დან ინფორმაციას გივი თარგამაძეს, მაგრამ ჯერ აღმოჩენილი არ გვყავდა. ჯერ არც ის ზონდერი ლაშა ცანავა აღმოგვიჩენია, გუშინ პირზე რომ დაადგნენ – ვიდეო და ფოტომტკიცებულებებით, თუ როგორ უბრაგუნებდა „დუბინკას“ წაქცეულ მომიტინგეებს.

აცალეთ, ბატონო, ამ მთავრობას, აცალეთ!!!

ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები მიდის და ბოლოს, აღმოაჩენენ და დასჯიან, აბა, რას იზამენ? თუ არა და, მაგ საქმეს მომავალი ხელისუფლება გადაიბარებს, მიზანა ბრეგვაძის ვალებივით, ისევე, როგორც მიშას მთავრობამ შევარდნაძის მთავრობის „გრეხები“ გადაიბარა და ვიქნებით ასე...

ახლა რომ ვთქვა, ნაძირალა ლაშა ცანავა და მის გვერდით კიდევ რამდენიმე ადამიანი ხელისუფლებას გადაცემის დამთავრებისთანავე უნდა დაეკავებინა-მეთქი, ხალხი შეიძლება, სიცილით მოკვდეს და ამიტომ, არ ვიტყვი!

ხელისუფლებამ ცანავას ვერ მოსჭამა ფეხები, პირიქით, სამსახურიც კი მისცა და ამის მერე ნაცების იდეოლოგების დამჭერი და სამართალში მიმცემია?!

შსს-ს და პროკურატურას პროფესიული ღირსება რამედ რომ მიაჩნდეს, ნაკეთები საქმე თითზე ჩამოსათვლელი არ ექნებოდა, და არც ხალხს ექნებოდა ამდენი შეკითხვა.

მართალაც, ლამის გასკდეს გული ამდენი შეურაცხყოფის შემდეგ. როცა ყოველ ნაბიჯზე უტიფრების პარპაშს უყურებ და მათი ცინიზმის გამო ნერვები აღარ გივარგა!!!

ბაკურ სვანიძის თქმისა არ იყოს, რომ დაგიბჩენიათ პირი და გაიძახით, ბევრია გამოსაძიებელიო – ყველაფრის ორ დღეში გამოძიებას ვინ გთხოვთ. ...მაგრამ ერთი დადგეს შსს-პროკურატურა ხალხის ადგილას და მშვიდი ნერვებით უსმინოს ლაშა ცანავასნაირების თავხედურ განცხადებას – კანონი არ დამირღვევია, სულ კანონის დაცვით ვურტყი თავშიო. დღეს რომ გუშინდელი ზონდერი ტელეკამერის წინ ამის თქმას გაბედავს, ძნელი მისახვედრია – მიშას დროს რას იზამდა?!

ჩვენი შეურაცხყოფა, რომელი ნაცები, უკვე ამ ხელისუფლებასაც წესად ექცა! ...და ახლა კორექტულობა არავინ მომთხოვოს! რა ვთქვათ, ირაკლი სესიაშვილის (მაინც შევიკავებ თავს და რბილად ვიტყვი) ასეთი განცხადების შემდეგ:

„...მიმაჩნია, რომ ხელისუფლება გაცილებით დემოკრატიულია, ვიდრე საზოგადოება, იმიტომ, რომ საზოგადოება ჩვენ გვთხოვს დემოკრატიას, მაგრამ მეორე მხრივ, დიქტატორული მეთოდებით გვთხოვს იმ სურვილების დაკმაყოფილებას, რაც 9-წლიანმა ტანჯვა-წამებამ გამოიწვია...“

რა უნდა უქნა ახლა ამ დაუკრეფავში გადასულს.

არა რა! ღვთის წინაშე, მოთმინება ნაკლი არ არის, დიდსულოვნებად ითვლება, მაგრამ ამათი მოთმენაც, უკვე შეიძლება, სიდებილედ ჩაგვეთვალოს!

ხელისუფლებაში მაგიტომ მოგიყვანეთ (უკაცრავად!!!), რომ ხალხს ველური და „ლინჩის“ მომხრე უძახოთ?!

საქმეს მიხედეთ, ბიძიკო, თქვენი პროკურატურიანშსს-იანად, თორემ, ყოველდღე ვრწმუნდებით, რომ დამნაშავე ნაცების კანონით დასჯას საქართველოში პერსპექტივა მართლა არ აქვს?! ...ამიტომ ხვალიდან მე და ჩემნაირები (არ გეხუმრებით) ოფიციალურად შევალთ ნაცების პარტიაში. მერე დავერევით მაგ ლაშა ცანავას და მისნაირებს და ვნახავთ, ხულიგნობისთვის როგორ დაგვიჭერთ და გაგვასამართლებთ! გაბედავთ და ხელს გვახლებთ ნაცებს!



ხალხი გულს მოიოხებს!

თქვენ საქმე გაგიიოლდებათ!

არა! სიმართლე თქვით, ბატონო ხელისუფლებავ – მართლა ასეთი საქართველო გინდათ?!

მერაბ ხაჩიძე

◎ ალიან-ჩალიანი

რა ზარალი მიადგათ ნაციონალებს „თავისუფალი თაობისგან?“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა „თავისუფალი თაობისგან“ ზარალის ანაზღაურებისთვის 12 000 ლარს მოითხოვს. როგორც პრესკონფერენციაზე „თავისუფალი თაობის“ თავმჯდომარემ ლადო სადღობელაშვილმა განაცხადა, პარტია მის ორგანიზაციას ბანერების დაზიანებაში სდებს ბრალს. სადღობელაშვილი ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ კვერცხებისა და საღებავების სროლით ბანერებს ვერ დააზიანებდნენ.

„ჩვენ მრავალი აქცია გაგვიმართავს ნაციონალური მოძრაობის ოფისთან, თუმცა, ჩვენ მხოლოდ კვერცხებისა და საღებავების სროლით ვიფარგლებოდით. შესაბამისად, კვერცხებისა და საღებავების სროლით ვერაფერს დავაზიანებდით. გარდა ამისა, სარჩელი სასამართლოში არასწორად არის შეტანილი და ამის საპასუხო შესაგებელს აუცილებლად შევიტანთ. სარჩელს თან არ ახლავს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და, საერთოდ, ეს ორგანიზაცია საჯარო რეესტრში არ ფიქსირდება“, – განაცხადა სადღობელაშვილმა.

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნით ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრს თამაზ ახობაძეს, რომელიც არის მეორე ჯგუფის ინვალიდი, სასამართლომ ბინა დაუყადაღა.

„მას ბინა ამ საქმესთან დაკავშირებით დაუყადაღდა. ვის გაუგია კვერცხების გამო ვინმეს ბინას უყადაღებდნენ. ეს არის უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს“, – აღნიშნა სადღობელაშვილმა.

მისივე თქმით, სარჩელი ნაციონალებს არასერიოზულად აქვთ მომზადებული.

„ორგანიზაციის მისამართად წერია კახეთის გზატკეცილი, მომავალი მთავრობის ადმინისტრაციის შენობა, ხოლო ყველა თანხა, რაც მითითებული აქვთ, ნ-იანებისგან შედგება“, – აღნიშნა სადღობელაშვილმა.

მისივე თქმით, შენობის დასვრისთვის მას მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაც უჩივის და ზარალის ანაზღაურების მიზნით 300 ლარს მოითხოვს.

ინტერპრესი

მეტის მოთმენა მართლაც შეუძლებელია!

ღია წერილი ქ. თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას ასლი – ქ. თბილისის საკრებულოს

ამ წერილს გწერთ თქვენი მხარდამჭერი და გულშემატკივარი, თბილისის მერიის სისტემაში და საქართველოს მთავრობაში ათეული წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალ, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ეკონომისტი, პუბლიცისტი, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორი.

როდესაც თქვენ, თბილისის მერობა გადაწყვიტეთ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით (2014 წლის 16 მაისი), თქვენ და თქვენს კონკურენტებს გამოგიგზავნეთ ღია წერილი: „აცნობიერებთ თუ არა, რომ თბილისის მერობა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა?“, სადაც გაფრთხილებდით:

„თბილისის მერობა ურთულესი, უკიდეგანო მასშტაბებისა და არაადამიანური დატვირთვის, საპასუხისმგებლო თანამდებობაა. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის, ქვეყანაში უფრო რთული სამსახური არ მეგულება. თუ გსურთ თბილისის მერობის შემდეგ დატოვოთ დედაქალაქის ღირსეული მერის სახელი, მოგიწევთ თავის გადადება და უარის თქმა პირადი ადამიანური ცხოვრების მრავალ საკითხზე.“

— აღნიშნულ წერილში თქვენი ყურადღება მივაქციე მხოლოდ თქვენს უფლება-მოვალეობაში შემავალ დედაქალაქისა და სრულიად საქართველოსათვის მნიშვნელოვან საკითხებს. ამონარიდების სახით გაგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

„წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მისასვლელი გზისა და მთელი მისი მიმდებარე ტერიტორიის გათავისუფლება ამ ადგილისათვის სრულიად შეუფერებელი საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ათასი ჯურის სიმახინჯეებისაგან. მთელი ამ ტერიტორიის, უმაღლესი დონის ბაღნარად გადაქცევის პროგრამის დამუშავება, რაც ყველა საღად მოაზროვნე ქართველის ოცნებაა:“

— „თბილისის მერიისა და მისი შესაბამისი სამსახურების მიერ, რეკლამის შესახებ საქართველოს კანონისადმი, ქართული ენის მტრების მიერ დანაშაულებრივი დამოკიდებულება და მისი ნორმების იგნორირება;“

— „დედაქალაქის მთელი რიგი უბნები გადაქცეულია ნაგვის უზარმაზარ ბუნკერად და რომ თბილისში აუცილებელია სანიტარიული პოლიციის შექმნა;“

— „შენობა-ნაგებობების ფასადების დამახინჯება ათასი რჯულის საგიტაციო და სარეკლამო პლაკატებით, განცხადებებით და მოწოდებებით, რომელთა მასშტაბებით სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, რეკორდსმენია ჩვენი სიწმინდის — შოთა რუსთაველის ძეგლის მთელი მიმდებარე ტერიტორია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე კორპუსის ფასადი და ა. შ. “

— „თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციისა და მისი მოხმარების საერთაშორისო დონეზე აღიარებული წესების იგნორირება;“

— „მერიის დაქვემდებარების სამსახურში და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მოქალაქეთა „შეღწევისგან“ თავდაცვის მიზნით, ლამის გასამხედროებული დაცვის სამსახურების გაუქმება და სხვ.“

ჩამოთვლილი და სხვა არაერთი პრობლემის მოგვარების გზები და ჩვენი კონკრეტული წინადადებები წერილობით არაერთხელ გაახლეთ, მაგრამ ამით არავინ არ დაინტერესებულა და ბუნებრივია, არც რაიმე შედეგი არ არის მიღწეული.

გულწრფელად მოგახსენებთ, რომ თუ ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენება ჩვენი უარყოფითი, მაგრამ ობიექტური შეფასებები, მზად ვარ, გეახლოთ თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს და სათანადო ფაქტებზე დაყრდნობით, მერიის სამსახურებს თვალი ავუხილო მათ უსუსურობაზე, ამ პრობლემების მართვის არცოდნასა და ზოგჯერ დანაშაულებრივ ქმედებებზე.

ბატონო დავით, მამაშვილურად გამიგეთ, რომ ჩემი გულისტკივილის ესოდენ გულახდილად და შეუულამაზებლად გამოთქმას მავალდებულებს ჩემი პირადი პასუხისმგებლობა, რომ თქვენ, მერობის წინასააჩევნო კამპანიის დროს, საქვეყნოდ, ყველა საშუალების გამოყენებით დაგიჭირეთ მხარი. გაიხსენეთ ჩემი გამოსვლა „მრგვალ ბაღში“, ვაკის რაიონის ამომრჩევლებთან შეხვედრისას, და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2014 წ. 8 ივლისი), ჩემი მხარდამჭერი მოწოდება ამომრჩევლებისადმი. გარდა ამისა, გულახდილად რომ გითხრათ, შეურაცხყოფილად ვთვლი თავს, რადგან თქვენი აპარატის შესაბამისი სამსახურების მიერ, სრული იგნორირება განიცადა თქვენს სახელზე გამოგზავნილმა ჩემმა რამდენიმე წერილმა!

თბილისელების აზრის იგნორირება ხომ იცით, რას ნიშნავს?!

ველოდები თქვენი სამსახურების ოპერატიულ შეხმიანებას.

პატივისცემით

ანზორ ბაბუხადია

◎ პოლიტიკური თამაშები

სამთავრობო ცვლილება გარდაუვალია?

ნოდარ ჯავახიშვილი უწყებაში საკადრო ცვლილებებს არ გამორიცხავს. **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ახალი მინისტრი ამბობს, რომ ადამიანებმა შეიძლება მასთან მუშაობა არ ისურვონ. ახალ მინისტრთან მუშაობა არ ისურვა პირველმა მოადგილემ გიორგი ამაშუკელმა. მინისტრს არ დაუკონკრეტებია, ვინ იქნება მისი პირველი მოადგილე.**

კულუარებში სულ უფრო აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია მოსალოდნელ საკადრო ცვლილებასთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრის სავარძელს დაემშვიდობება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი,** რომელიც საპარლამენტო კომიტეტის მიერ მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს „თითიდან გამოწოვილს“ უწოდებს.

„ვფიქრობ, მათი პოზიცია თითიდან გამოწოვილია, ეს არის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე თამაში, რომელშიც ვერ ჩავერევი, რადგან ბევრი საქმე და პასუხისმგებლობა მაქვს. მე პიროვნულ დაპირისპირებაში არ შევდივარ. მინდა, დაგარმწუნოთ, რომ ეს არის პიროვნული დაპირისპირება, პიროვნული პრობლემა და არა სახელმწიფოებრივი. ჩვენ ვიქცევით სახელმწიფოებრივად“, — განაცხადა ლევან ყიფიანმა.

ლევან ყიფიანის პარალელურად, აქტიურად განიხილება გარემოს დაცვის მინისტრის **ელგუჯა ხოკრიშვილის** შეცვლის საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ ხოკრიშვილი და ყიფიანი მინისტრთა კაბინეტს 21-წევრიან შემადგენლობას დაემშვიდობებიან, მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის ნდობის საკითხი დადგება. პროცესში ერთვება პრეზიდენტი, რომელმაც პარლამენტს ერთი კვირის ვადაში მთავრობის განახლებული შემადგენლობა უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ აუცილებელი არ არის მინისტრთა კაბინეტის კონსტიტუციური რისკის ქვეშ დაყენება. რადგან, მისივე თქმით, „თავისუფალი დემოკრატების“ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, უმრავლესობას ახალი მთავრობის დამტკიცება შეიძლება გაუჭირდეს. აქედან გამომდინარე, პოლიტოლოგი თვლის, რომ ცლილებები უნდა გატარდეს უწყებების მეორე და მესამე სართულზე.

„საკადრო ცვლილებები მრავალსართულიანი მოვლენაა. ერთი მხრივ, ეს არიან მინისტრები, სადაც გარკვეული ზღვრის მერე ცვლილებები უნდა შეეხოს მთელ მინისტრთა კაბინეტს. მეორე მხრივ, არის შიდა საუწყებო ცვლილები, რომელიც ყველა მინისტრს შეუძლია განახორციელოს, რაც უფრო მეტ ცვლილებას განახორციელებენ, ალბათ, უფრო მოიგებს საზოგადოებაც და საქმეც.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** კი ფიქრობს, რომ ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ აქვს იმის პრობლემა, საჭირო სისტემური ცვლილებების შემთხვევაში მოიპოვოს პარლამენტის ნდობა, თუკი მთავრობის ახალი შემადგენლობა დაკომპლექტებული იქნება ისეთი კადრებით, რომლებიც შეძლებენ უპასუხონ გამოწვევებს.

„ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ არის ისეთ ფაზაში შესული, როდესაც შესაძლებელი იქნება მთავრობის ნდობის მოპოვების დროს საპარლამენტო გადატრიალების მოწყობა. ჯერჯერობით ასეთი ტიპის რისკი არ დგას და ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებამ ეს აუცილებელი გადაწყვეტილება რაც შეიძლება მალე უნდა მიიღოს. მერე და მერე ძალიან ბევრი რისკი შეიძლება გაჩნდეს. ვითარების განვითარების დინამიკა სულაც არ არის ხელისუფლების სასარგებლოდ და ჩვენ ამას ვხედავთ“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

მისივე თქმით, კოალიციაში უკვე არ არიან თანამოაზრეები და ამის დასტურია ის პიროვნული დაპირისპირება, რომელიც საკმაოდ აგრესიული დისკუსიების ფონზე საჯაროდ მიმდინარეობს სპორტის მინისტრსა და კომიტეტის წევრებს შორის.

„როდესაც კომიტეტი უპირისპირდება მინისტრს და ამ დროს მინისტრი პოლიტიკურ საფუძველზე საუბრობს, მაშინ როდესაც მინისტრი და კომიტეტი წარმოადგენს ერთ პოლიტიკურ პარტიას, ეს ვითარება კიდევ უფრო გართულდება. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ აუცილებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ცვლილებები. ამიტომაც ვამბობ, რომ სამთავრობო ცვლილება გარდაუვალია და ჯობია, ეს დღეს მოხდეს“, — ამბობს for.ge-სთან საუბრისას გია ხუხაშვილი.

შეეხება თუ არა ცვლილება პრემიერ-მინისტრს, პოლიტოლოგ **სოსო ცისკარიშვილის** განცხადებით: **„თუ გადაწყვეტილი აქვს ვინმეს, რომ ახალი მთავრობის ფორმირების აუცილებლობა დადგეს პარალამენტის განხილვის საგნად, კი ბატონო, სრულიად თავისუფლად შეიძლება 7 მინისტრიც გამოცვალონ და 9 მინისტრიც. მაგრამ, შეეხება თუ არა ცვლილება პრემიერ-მინისტრს, ეს დამოკიდებული არ არის საქართველოს 4-მილიონიან მოსახლეზე, არამედ, ეს დამოკიდებულია ერთ მოქალაქეზე, რომელიც საზოგადოებაში აღიქმება როგორც პრემიერ-მინისტრის პრემიერ-მინისტრი. რასაც იტყვის ასეთი თანამდებობის მომპოვებელი მოქალაქე, ისე იქნება“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილმა.

თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

ვინ მოუვლის „სითი პარკს“

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი, დღეს 17:00 საათზე, თბილისის მერიის შენობის წინ „სითი პარკით“ შეწუხებულ მოქალაქეებს აქციაზე მისვლისკენ მოუწოდებს.

როგორც ალეკო ელისაშვილმა თბილისის მერიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, „სითი პარკთან“ ხელშეკრულება ქალაქის საზიანოდ წინა ხელისუფლებამ გააფორმა, მაგრამ არსებულმა ხელისუფლებამ სიტუაციის გამოსწორება ვერ შეძლო. ალეკო ელისაშვილის განცხადებით, კომპანიას კონტრაქტით თბილისში პარკინგების ადგილების მოწყობა არ ევალება და შესაბამისად, ამ კუთხით არაფერს არ აკეთებს.

კომპანიას ნაყიდი აქვს სამი ევაკუატორი და დროდადრო ყიდულობს კასრ საღებავს. ყოველ წელს ჩვენი ჯიბეებიდან კომპანია 30-35 მილიონს იღებს. „სითი პარკთან“ ხელშეკრულება კიდევ 10 წელი უნდა გაგრძელდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიამ ჩვენი ჯიბეებიდან შემდეგი 10 წლის განმავლობაში კიდევ 350 მილიონი ლარი უნდა ამოიღოს. 10 წლის შემდეგ კი ქალაქში პარკინგის თვალსაზრისით ქაოსი გვექნება. ნაბიჯები დროულად არის გადასადგმელი. რადგან თბილისის მერია ამ ნაბიჯებს დროულად არ დგამს, ან არის გარიგებაში ან ძალა არ ყოფნის, რომ კომპანიასთან კონტრაქტი გაწყვიტოს. ჩვენ, თბილისელები უნდა დავეხმაროთ მერიას და „სითი პარკთან“ ურთიერთობა უნდა დასრულდეს, — აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის თქმით, საზოგადოებას გააცნობს იმ გეგმას, რომლითაც „სითი პარკთან“ ურთიერთობა უნდა დასრულდეს.

ასეთი პრეზიდენტის ინსტიტუტი, სულ რომ არ იყოს, ისა სჯობს!..

როდესაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის სოციალური მდგომარეობა კატასტროფულია, როდესაც კვების პროდუქტებსა და პირველადი მოთხოვნილების საგნებზე ფასები ყოველდღიურად მატულობს, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდში ჩამორიგებული დაპირებიდან უმრავლესობას ვერ შეასრულებ, როდესაც მთავარ მეზობელთან ურთიერთობას ვერ დაალაგებ, როდესაც დაკარგულ ტერიტორიებს არათუ ვერ იბრუნებ, ლაპარაკსაც წყვეტ ამ თემაზე (საფუძვლიანი, გონივრული ლაპარაკი მაქვს მხედველობაში), როდესაც ქვეყნის მოსახლეობას აიძულებ, ვალი დაიდოს და ამ ქვეყნიდან სამშვიდობოს გაძვრეს, როდესაც გაუნათლებელ ყმაწვილ გოგო-ბიჭებს, მეტადრე ნათესავებს, ქვეყანას საჯიჯგნად მისცემ, როდესაც ჟურნალისტიკასთან, მით უმეტეს ობიექტურობასთან მწყრალად მყოფ თინეიჯერებს ტელეეკრანებს დაუთმობ ჩვენი ტვინების გასალაყებლად, სიცრუის საქებრად, უბედურების ბედნიერებად წარმოსაჩენად, როდესაც ხალხს აიძულებ, ჯოგად ეცნენ წითელ შუქნიშანზე გაჩერებულ ავტომანქანებს 10 თეთრის ჩამოსამათხოვრებლად; როდესაც მთავრობის უნიათო მუშაობის შედეგად სანაგვე ყუთებში კისრით გადაშვებულთა რაოდენობას ვერ ამცირებ; (რამდენი „როდესაც“ ჩამოვთვალო?), თავს უფლებას არ უნდა აძლევდე ილაპარაკო პრეზიდენტის სასახლეზე და იქ პრეზიდენტის ყოფნა-არყოფნაზე. თავს უფლებას არ უნდა აძლევდე ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ყურადღების ისეთ საკითხზე გადატანას, რაც არც უნდა იყოს სამსჯელო, მით უმეტეს საჭორაო. მაგრამ რა გაეწყობა, საქართველო ჯერ ისეთად რჩება, შეუმდგარის სახელი რომ ამშვენებს.

დიახ! შეუმდგარობამ, პოლიტიკურმა უმწიფრობამ იცის ისეთი ენის სავსავი, რაც ქართულ ტელესივრცეშია კულტივირებული. ტელეეკრანებიდან ხომ „გვხმარობს“ ერთობ უნიჭო ჟურნალისტიკა თავისი „მჭევრმეტყველებით“ და ბრიყვული, თანაც თავდაჯერებული გამომეტყველებით. მაგრამ ესეც არ იკმარეს და ქუჩებზე წამოჭიმული ბილბორდებიდან გვიმზერენ თავხედურად. მათ ლაშქარს ახალი „სახე“ დაემატა, ვინმე გამზარდია, რომელიც უფრო ზევით ავიდა, ანუ სახლის სახურავზე.

„მაგას ეკუთვნის! ივანიშვილთან მიჰყავს პარადიო“, – განმარტეს. ო, მაშინ ეკუთვნის, უდავოდ ეკუთვნის! მაგრამ რატომ არიან ეგზომ პრივილეგირებულები სატელევიზიო მავანნი და რატომ არ არიან კალმის ოსტატი ჟურნალისტები ესოდენ დაფასებულნი? რატომ არიან ეს უკანასკნელნი დისკრიმინირებულნი? ამიხსნეს – ვინც ფულს იხდის, პორტრეტიც მისიაო.

ესეც თქვენი დემოკრატია. ამ სიტყვას შეგნებულად ავუარე გვერდი ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალში. ხარ ბიძინასთან და ამაყად, „დემოკრატიულად“ გადმოხედავ დაბეჩავებულ მოქალაქეებს სახლის სახურავიდან, ბილბორდიდან.

მე თუ მკითხავთ, „მეშჩანობის“ ერთ-ერთი, თანაც უკიდურესი ფორმაა ვექილების, უცნობი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, ძალად ნაცნობი „ტელეჟურნალისტების“ ფოტოების ქუჩური გამოფენა. რამდენიმე წლის წინათ „ვიღაცამ“ იყიდა „ზემელზე“ ერთ-ერთი სახლის კედელი და თავისი პორტრეტით „დაგვამშვენა“. კარგა ხანს ვერვინ გაიგო, ვინ იყო ის. და დიდი ძიების შემდეგ რომ დაადგინეს, პორტრეტიც გაქრა, მაგრამ ჟურნალისტებისა – შემოგვრჩა. ჩვენდა სავალალოდ – საღამოს ტელეეკრანზე ვუყურებთ, დილიდან დაწყებული – ქუჩაში. შენც ნუ უყურებო, მეუბნებიან. არ მინდა შევხედო, მაგრამ თვალი სად წავიღო, თუ დავხუჭავ – ორმოში აღმოვჩნდები.

„გინდ მიყურე, გინდ არაო“, – რომ გვეუბნებიან, ვითომ არის არჩევანი? ყველა არხზე ისინი არიან, ქუჩაშიც ისინი და რაღა არჩევანია? გამოდის, რომ უნდა ვუყურო. ასე უნდა ყველას.

ასე და ამრიგად, კვირის განმავლობაში ვისმენთ მარგველაშვილის „არაკაცური“ საქციელის შესახებ, რაც შემდეგში გამოიხატება: „კონსტიტუცია პრეზიდენტმაც იცის. ისიც იცის და იცოდა ყოველთვის, რომ პრეზიდენტის ასეთი ფეშენებელური რეზიდენცია დიდი ფუფუნებაა ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ჯიუტი, გაბრაზებული ბავშვივით მოიქცა. ახლა რა იქნება?

ოდნავ გონიერი კაცი, საკუთარი ნებით უნდა გამოვიდეს ბოროტებისა და გარყვნილების ბუდიდან!“, – წერს ერთი ჟურნალისტი, ფრიად ნიჭიერი და სათნო პიროვნება.

არასდროს ვყოფილვარ მარგველაშვილის გულშემატკივარი, მისი კრიტიკოსი კი იცოცხლეთ, მაგრამ ამ საკითხში აშკარად ვემხრობი, ვინაიდან შეგნებულად თუ შეუგნებლად, ის იცავს პრეზიდენტის ინსტიტუტს, ესოდენ სიმწრით შექმნილს დამოუკიდებლობის ჟამს. მე, როგორც ქვეყნის პროტოკოლის სამსახურის ყოფილ უფროსს, უკეთ მომეხსენება პრეზიდენტის სასახლის წარმომადგენლობითი მნიშვნელობა, ვიდრე ნებისმიერ ჟურნალისტს, პოლიტიკოსს, თუნდაც მილიარდერ ივანიშვილს, რომელმაც თქვა: „პრეზიდენტის ადმინისტრაციას 16.000 კვ.მ-ის ფართობი უკავია, რაც ჭარბი ფართია. რომ არ უჭირდეს სახელმწიფოს, ჭარბი ფართი მაინც არ უნდა გქონდეს“; „ჩვენ, საკმაოდ გაჭირვებული სახელმწიფო გვაქვს“.

მართებული ნათქვამია, მაგრამ მასისთვის, რომელიც არც გაგებაშია და არც აინტერესებს მარგველაშვილის არსებობა, არათუ მისი სასახლეში ყოფნა. არ აინტერესებს, ვინაიდან ვერა და ვერ ამოვიდა ნაგვის ყუთიდან, ვერ ეღირსა დაპირებულ სიკეთეს.

ბიძინას ნათქვამიდან გამომდინარე, პრეზიდენტი ქვეყნის სიდუხჭირის მიხედვით უნდა ცხოვრობდეს, ანუ გლდანულის ან ვარკეთილის ოროთახიან ბინაში უნდა ჰქონდეს რეზიდენცია. მაგრამ მარტო პრეზიდენტი?! იქნებ მდიდარი, ისეთი, როგორიც ბატონი ბიძინაა, ოდნავ თავშეკავებულ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს და არა ზვიგენების, ზებრების, პინგვინების, ცნობილი უცხოელი მხატვრების ნახატების გარემოცვაში.

არა, ნამდვილად არა აქვთ ჩვენს ფულიანებს გაჭირვებული საქართველოს შესაფერისი ცხოვრება. ზოგმა ვაკეში – უკრაინისა და ირანის საელჩოებს შორის აიშენა სახლი, ზოგმაც თავის დროზე საკუთარ ოფისად გადააქცია „ქორწინების სასახლე“. ჩემმა მეზობელმა ერთ პატარა ქუჩაზე სამი, უზარმაზარი სახლი წამოჭიმა, უცხოეთიდან შემოტანილი საშენი მასალებით და ა.შ. აღარ ჩამოვთვლი, რა მოასწრეს „ნაცებმა“ 9 წლის განმავლობაში და „ქოცებმა“ – ორ წელიწადნახევარში.

პრეზიდენტის ყოფნა სააკაშვილის მიერ აშენებულ სასახლეში არ შეიძლება, მაგრამ „ქოცების“ ხელისუფლების ჭარბზე-უჭარბესი ხელფასები და ხელფასზე დანამატები, უცხოეთში ფეშენებელური, თანაც უსაგნო მოგზაურობა შეიძლება? არავინ ამბობს, მათ შორის არც ივანიშვილი – ესოდენ დიდი ამალით რა უნდოდა მარგველაშვილს ვატიკანში? სულაც არ იყო საჭირო ეკონომიკური მრჩევლისა და სხვა მრჩევლების, მით უმეტეს უშიშროების საბჭოს მდივნის თანხლება რომის პაპთან.

„გაგულავების“ მომენტი სახეზეა, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობს, ვითომ ეს ფულის ხარჯვა არ იყოს. მაგრამ აქ საქმე სხვაშია და არა სასახლეში. ბატონ ივანიშვილს თვითონ ხომ არ სურს ამ სასახლის დასაკუთრება და მიხვეულ-მოხვეული გზით ცდილობს, მიზნის მიღწევას?

არგუმენტი სასახლისა და გაჭირვებული ქვეყნისა სრულიად უადგილოა, თუნდაც მარგველაშვილის ადრე გაკეთებული განცხადების მოშველიება – სააკაშვილის სასახლეში არშესვლასთან დაკავშირებით, ვინაიდან მაშინ მან არ იცოდა პრეზიდენტის იმ პროტოკოლური ფუნქციების შესახებ, რაც დღეს იცის და რაც აუცილებელია ქვეყნისთვის.

დიახ! დღეს ქვეყანა, ქვეყანას არ ჰგავს, მაგრამ ასე ვიქნებით ყოველთვის? ბატონი ივანიშვილის დაპირებით ორი წლის შემდეგ კარგად უნდა ვიყოთ და თუ კარგად ვიქნებით, პრეზიდენტის პროტოკოლიც უნდა ავამოქმედოთ და დღეს გაპარტახებული შენობის (თუ მარგველაშვილი გამოვიდა შენობიდან) ნაცვლად ახალი უნდა ავაშენოთ?

პრეზიდენტის დღევანდელი შეზღუდული საკონსტიტუციო ფუნქციები, სულაც არ ნიშნავს პროტოკოლის შეზღუდვას. ის ყოველთვის იარსებებს, პრეზიდენტის გაზრდილი თუ შეზღუდული ფუნქციების შემთხვევაში. ასე, რომ სრულიად უადგილოდ მივიჩნევ უარმყოფელ „არგუმენტებს“ და განცხადებებს.

ახლა იმაზე – „ოდნავ გონიერი კაცი, რომ უნდა გამოვიდეს ბოროტებისა და გარყვნილების ბუდიდან“ – ამ მოწოდებით არათუ ჩვენ, ქართველები შორს ვერ წავალთ, მსოფლიოც ვერ განვითარდება. მსგავსი ფილოსოფიით, ფაშისტური რიხსტაგი, რომლის თავზეც ეგოროვმა და ქანთარიამ გამარჯვებული საბჭოთა კავშირის წითელი დროშა აღმართეს, გადარჩენილ, დღეს უკვე აყვავებულ გერმანიას უნდა დაენგრია, ვინაიდან იმაზე მეტი საშინელება, რაც რაიხსტაგის შენობაში მოკალათებულებმა მოუტანეს კაცობრიობას, არ არსებობს.

არც ბოლშევიკებს უნდა მოერგოთ საკუთარ თავზე მეფისეული კრემლი, არც ჯორჯ ბუშ უმცროსი უნდა შესულიყო თეთრ სახლში, მით უმეტეს მის ოვალურ კაბინეტში, საიდანაც წინამორბედი კლინტონი იასირ არაფატთან „ცხელი სატელეფონო“ ხაზით სარგებლობის დროს, მონიკა ლევინსკის ორალურ-სექსუალური მომსახურეობის საამურ განცდებში იყო. ალბათ, ჯორჯ ბუშ უმცროსს უნდა ეთქვა – ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკსო და ახალი „თეთრი სახლი“ უნდა აეშენებინა?!

მეგობრებო, სასახლე არაფერ შუაშია. სასახლე არ ჩადის ბოროტებას, გარყვნილებას. ამის შემოქმედნი ადამიანები არიან. არ მოგვწონდა ავხორცი და ბოროტი სააკაშვილი და გადავირჩიეთ. გადარჩეულს თავში აზრადაც არ მოსვლია სახლის ზურგზე მოკიდება და წაღება. რომ მოსვლოდა, შეძლებდა?

სასახლეები წლებს, საუკუნეებს უძლებენ და არა მარტო ჟამთა ცვლას, არამედ იქ მოკალათებულ ჭკვიან თუ უჭკუო, ბოროტ თუ კეთილ, პატიოსან თუ ავხორც მმართველებს. რამდენი ასეთის მომსწრეა პეტერბურგისა და ვერსალის სასახლეები?!

ვინ, სად, როდის ბრძანა, რომ პრეზიდენტს სასახლე არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ის ფუნქციები არა აქვს, რაც წინამორბედს ჰქონდა. არც დიდი ბრიტანეთის დედოფალს აქვს „პირველკაცობის“ შესაბამისი ფუნქციები, მაგრამ ინგლისელებს აზრადაც არ მოსვლიათ ვინძორიდან მისი გამოსახლება. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ტრადიციები არსებობს, რომლის წინაშე ყველა მორჩილია.

საქართველოში მსგავსი ტრადიციები არ არსებობს. ახლა იქმნება და ჩანასახშივე გვინდა მოვსპოთ, გავანადგუროთ! საქართელო ძველი, მაგრამ ახალგაზრდა ქვეყანაა, თანაც ისეთი, ყოველ წუთს რომ ცვლის სახელმწიფოს მმართველობით სისტემას. გუშინ საპრეზიდენტო მმართველობა გვქონდა, დღეს რა გვაქვს, არავინ იცის. ამბობენ საპარლამენტოო. თუ რა „წარმატებული“ სისტემაც არის, ყველა ვხედავთ და რახან ვხედავთ, იმასაც ვხედავთ, რომ უნდა შეიცვალოს – ისევ საპრეზიდენტოზე.

ისე კი, ჩემის აზრით, ასეთი დაკოდილი პრეზიდენტის ინსტიტუტის ნაცვლად, სულ რომ არ იყოს, ჯობს. იქნებ პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება, ისე როგორც გამსახურდიას მმართველობის დასაწყისში – უზენაესი საბჭო და მთავრობა იყოს. მაგრამ ეს ყველაფერი მომავლის საქმეა, შესაძლოა არცთუ შორეულის და რახან ასეა, ის მაინც შევძლოთ, აშენებული შენობა არ გავაპარტახოთ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

P. S. საინტერესოა ფუნქციააყრილი პრეზიდენტი, მაგრამ მაინც პრეზიდენტი, სად გამართავდა საპატიო ყარაულს ბელარუსის პრეზიდენტის ლუკაშენკოს პატივსაცემად? – ათონელის ძუჩაზე?

◎ ალიან-ჩალიანი

რა პრეტენზიები აქვს შვეიცარიის ელჩს?

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვეიცარიის ელჩს შეხვდა. მთავრობის მეთაურმა მიიღო ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელიც შვეიცარიელ დიპლომატს აწუხებს და დაჰპირდა, რომ აღნიშნული თემით შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესდება.

„მე მქონდა ძალიან საინტერესო საუბარი შვეიცარიის ელჩთან, რომელიც არის ჩვენი ნამდვილი მეგობარი და ყოველთვის მხარს უჭერს საქართველოს განვითარებას, მის წინსვლას, პერსპექტივას და პროგრესს. მაინტერესებდა, რას შეეხებოდა მისი წუხილი. მან ამიხსნა, რომ შვეიცარიელი ბიზნესმენი, რომელსაც ჰყავდა ქართველი პარტნიორები, სავარაუდოდ, ქართველმა პარტნიორებმა მოატყუეს და მისი აღქმით, დავა გაგრძელდა არასამართლიან გარემოში. ელჩს დავპირდი, რომ დღესვე დავავალებ შინაგან საქმეთა მინისტრს, დაუყოვნებლივ შეისწავლოს ეს საკითხი და თუ რაიმე დანაშაული გამოიკვეთება, ყველა დამნაშავე კანონის შესაბამისად დაისჯება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა შვეიცარიის ელჩ გიუნტერ ბეხლერთან შეხვედრის შემდეგ.

მისივე თქმით, „საქართველოში ბიზნესგარემო არის აბსოლუტურად თავისუფალი, ბიზნესი ხელშეუხებელია და თუ რაიმე კანონდარღვევა მოხდა რომელიმე კომპანიის ბიზნესპარტნიორებს შორის, ამას შესაბამისი უწყებები შეისწავლიან“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის და მთავრობის წარმომადგენლების რეაგირებით კმაყოფილია შვეიცარიის ელჩი. როგორც გიუნტერ ბეხლერმა განაცხადა, ირაკლი ღარიბაშვილთან საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოსთან დაკავშირებით პროდუქტიული დისკუსია ჰქონდა.

რა უნდა შეიცვალოს უსახლკაროებისა და უმუშევრებისთვის საკანონმდებლო დონეზე?

ორგანიზაცია „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ კანონში — უმუშევრისა და უსახლკაროს ინიციაციას ითხოვს.

„ვიღაც რომ შიმშილით კვდება და თავს იწვავს, მერე უკვე გვიანია!“ — აღნიშნავენ ორგანიზაციაში.

რისთვის არის საჭირო აღნიშნული ცნებების შეტანა კანონში, რას მისცემთ აღნიშნული სიახლე როგორც უმუშევრებს, ასევე უსახლკაროებს, რატომ თქვეს „ნაციონალებმა“ აღნიშნულ ცვლილებაზე უარი და რას ამბობენ დღეს ამ საკითხზე საკანონმდებლო ხელისუფლებაში?

„რეპორტიორს“ „უმუშევართა კავშირის“ თავმჯდომარე თამარ იოვაშვილი ესაუბრა:

— „სახით უსახლკაროებისკენ“ — ასე ჰქვია პროექტს, რომლის განხორციელებაც დავიწყეთ. ჩვენი მიზანია, თბილისის მასშტაბით აღვწეროთ უსახლკარო მოსახლეობა და შესაბამისი დახმარება გავუწიოთ. ამ პროექტზე თანხმობა 2015 წლის იანვარში მივიღეთ. თებერვალში დავდეთ ხელშეკრულება და მარტიდან უკვე დაიწყო პროექტი. დავიწყეთ უსახლკაროების რეგისტრაცია.

— როგორ მოხდება უსახლკაროთა რეგისტრაცია?

— გავაკეთეთ სპეციალური საიტი, სადაც ელექტრონულად შეუძლიათ დარეგისტრირდნენ უსახლკაროები. http://www.ukd.org.ge — ეს არის ჩვენი საიტის მისამართი.

— კონკრეტულად რას გულისხმობს თქვენი პროექტი?

— ჩვენი პირველი მიზანია, რომ საქმე დავძრათ, რომ სახელმწიფომ ყურადღება მიაპყროს უსახლკარო ოჯახებს. ჩვენი წვლილის შეტანას ვაპირებთ საკანონმდებლო დონეზეც.

— დღეს არსებულ კანონმდებლობაში რა ვითარება გვაქვს?

— იმ კანონში, რომელიც დღეს მოქმედებს, საერთოდ არ არსებობს ცნება „უსახლკარო“. ამის პარალელურად, კანონში „სოციალური დახმარების შესახებ“, მე-18 მუხლში არის მინიშნება, რომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს უსახლკარო, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, მაგრამ ვინ არის ან რას ნიშნავს უსახლკარო, ეს არ არის აღწერილი კანონში.

— ამ მხრივ უცხოური პრაქტიკა როგორია? რა ხდება საზღვარგარეთ უსახლკაროებთან დაკავშირებით?

— მსგავსი საკითხები თითქმის ყველა ევროპულ სახელმწიფოშია გადაწყვეტილი. ეს ქვეყნები ხელმძღვანელობენ ორგანიზაცია „ფიანცას“ რეკომენდაციებით. ჩვენ დავუკავშირდით ამ ორგანიზაციას, რომელიც დაგვთანხმდა, რომ დაგვეხმარება ამ საკითხში.

საქართველოში ამ მხრივ რთული სიტუაციაა, ბოლო 9 წლის განმავლობაში, კრიმინალური რეჟიმის დროს, უსახლკაროთა მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. უამრავი უკანონო დაჭერები იყო, საპროცესო გარიგებები... ასეთ დღეში იყო ნახევარი საქართველო, რის გამოც ოჯახებმა დაკარგეს ბოლო მატერიალური აქტივი. იპოთეკაში ჩადეს სახლები, რომ ეშველათ ოჯახის წევრისთვის. ძალიან რთული იყო ჯანდაცვის სისტემაში არსებული მდგომარეობა, ოჯახის ერთი წევრი რომ ავად გახდებოდა, პრაქტიკულად მთელი ოჯახი განწირული იყო. ხშირ შემთხვევაში სახლებს ყიდდნენ, რომ ოჯახის წევრისთვის ეშველათ, ამ დროს კი მთელი ოჯახი რჩებოდა გარეთ.

— უმუშევართა უფლებებს იცავთ. რა ხდება ამ კუთხით?

— ლიბერალური შრომის კოდექსის მიღების მერე, საზოგადოების დიდი ნაწილი დარჩა უმუშევარი. მიშა თავს იწონებდა ამ ლიბერალური შრომის კოდექსით, ხალხი ტაშს უკრავდა. რა მოხდა სინამდვილეში — დამსაქმებელს მიეცა საშუალება, სამსახურიდან გაეთავისუფლებინა ადამიანი ისე, რომ არც კი აეხსნა მიზეზი, რატომ უშვებდა. ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. ამის გამო ათიათასობით ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე. სტატისტიკის სამსახურის მონაცემების თანახმად, უმუშევრობა ქვეყანაში იყო 15 %, რეალურად კი უმუშევრობის დონე იყო 60%-იდან ზემოთ. ეს რიცხვები დღესაც არ არის გასწორებული.

მაშინ გათავისუფლებული ადამიანების უფლებების დასაცავად შევიმუშავეთ კანონპროექტი „უმუშევართა სოციალური დაცვის შესახებ“. ამ კანონპროექტზე მუშაობა დავასრულეთ 2012 წელს, მარტში. ამ დროს უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე იყო პარლამენტის დეპუტატი, რომელმაც ამ კანონპროექტის ინიციირება მოახდინა.

— რას გულისხობდა თქვენს მიერ შემუშავებული სიახლეები?

— კანონპროექტში განსაზღვრული იყო, ვისთვის უნდა მიგვენიჭებინა უმუშევრის სტატუსი. ყველა ქვეყანაშია უმუშევართა შემწეობა, ჩვენთან შემწეობაზე ლაპარაკიც კი არ არის. რას ნიშნავს უმუშევარი ადამიანი, ესეც კი არ წერია. ნაციონალურმა მოძრაობამ ეს კანონპროექტი დაბლოკა და თაროზე შემოდო.

— მიზეზად რა დაასახელეს?

— გვითხრეს — არ გაქვთ მითითებული ამ ყველაფრის ეკონომიკური მხარეო. ანუ ბიუჯეტს რა დაუჯდებაო თქვენი კანონპროექტის განხორციელება. ჩვენ დათვლილი გვქონდა იმ სტატისტიკით, რაც მაშინ არსებობდა.

— თუ წამოსწიეთ ეს თემა არსებული ხელისუფლების პირობებში? ხომ არ მიგიწერიათ საქართველოს პარლამენტისთვის?

— მივწერეთ მთავრობას, სადაც აღვწერეთ ეს სიტუაცია და მივიღეთ პასუხად, რომ მზადდება და მუშავდება კანონპროექტი დასაქმების შესახებ, სადაც ეს ყველაფერი იქნება გათვალისწინებული. წერილში ეწერა, რომ გადიან კონსულტაციებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მაგრამ ამ დრომდე არაფერი ჩანს. არც „ქართულმა ოცნებამ“ გადადგა ამ მხრივ რაიმე ნაბიჯი. იმედია, რამე გაკეთდება.

2006 წელს გაუქმდა სახელმწიფო დასაქმების სამსახური, რომლის ნაცვლადაც შეიქმნა სოციალურ სააგენტოსთან არსებული დასაქმების დეპარტამენტი. ინტერნეტ-საიტია — work.net, რომლით დასაქმებულიც არ მინახავს. ამ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თეა სტურუა, რომელიც არის ნაციონალი, დედამისი გიული ალასანიას უახლოესი მეგობარია. თეა სტურუამ თავის დეპარტამენტში დაასაქმა ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები და მთელი ამ 2-ნახევარი წლის განმავლობაში ქალბატონი თეა დაკავებულია იმით, რომ დადის რეგიონებში და ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ საქმიანობს. დეპარტამენტში რომ მივედი და სიტუაციას შევხედე, მეგონა, ნაციონალური მოძრაობის რაიონულ ოფისში მოვხვდი. ამაში კი ფულს ვიხდით.

საქართველოს რატიფიცირებული აქვს შრომის 88-ე კონვენცია, რომლიც არის სახელმწიფო დასაქმების შექმნის თაობაზე. სანამ ჩვენ არ შევქმნით სახელმწიფო დასაქმების სამსახურს, სანამ რეგისტრაციაზე არ ავიყვანთ უმუშევრებს, სანამ არ იქნება მიღებული კანონი, მანამდე ამ ამბავსაც არაფერი ეშველება, ისე როგორც არ ეშველებათ უსახლკაროებს — თუ არ დავთვლით, რამდენი არიან საქართველოში, არ გავაკეთებთ ცნებების „უმუშევრის“ და „უსახლკაროს“ ინიციაციას კანონმდებლობაში, თუ არ შევქმნით კანონს, როგორ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო ათასობით უსახლკაროს, მანამდე ამ საკითხს არაფერი ეშველება. ვიღაც რომ შიმშილით კვდება და თავს იწვავს, მერე უკვე გვიანია. უნდა ვაიძულოთ სახელმწიფო, რომ გადადგას ეს ნაბიჯები.

ესაუბრა
დიანა ლიპარტელიანი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჩარები

● **დაკვირვებული ვარ, ის პერსონები, რომლებიც თავგანწირვაზე საუბრობენ, ხშირად სხვის სიცოცხლეს გულისხმობენ თავისად!**

მიშამ დაახლოებით 6000-ჯერ შესწირა თავი სამშობლოს და ძმათა სასაფლაოზეც არის მრავალჯერ დაკრძალული პატივით, ახლა უკრაინაში ეწირება თითქმის ყოველდღე.

ყველა სამშობლოსთვის შეწირული მიშაა, ბევრჯერ დახვრიტეს უკვე საქართველოში, ახლა უკრაინისთვის დადო თავი!

● **ლარის კურსთან ერთად ქართულ ენაში ბგერა „ლ“ რბილდება, მეგრულში კი მაგრდება!**

● **ლარს, რადგან ასე გაფარჩაკდა, ბარემ ლარისა დავარქვათ!**

● **ისე როგორ მოვკვდები, ილბლიან ბორბალში სოდა არ მოვიგო!**

● **ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი განცხადებებით, ნაცმოძრაობის წისქვილზე უშვებთ წყალსო? — ჰკითხა გრიგოლიამ ბურჯანაძეს და — წისქვილი, ფქვილი და ბაღლინჯო, აბა რა გასახსენებელი იყოო... — სევდანარევი წყენით გაიფიქრა ქალბატონმა ნინომ.**

● **ყოველი ტელედებატების დროს, ერთი ადამიანი მაინც გამოერეოდა ხოლმე, ვისდამიც გარკვეული სიმპათია გამაჩნია.**

დღეს ეს ერთიც გაუთავდათ, ეტყობა.

● **არ გვინდა რა ველოსიპედის გამოგონება, პირდაპირ მანქანა მოვიგონოთ...**

● **ვინმემ ბრალი რომ არ დამდოს ფობიაში, ყველაფერი მიყვარს დასავლური, უზნეობის, ძალადობის და ნაციონალური მოძრაობის გარდა.**

● **სევდიანა თუ დარდიანა უგრეხელიძე....**

რას დასდევს ამ ბიჭბუჭეებს და დათოხარიკაობს თონეებიდან თონეებში?!

● **ძალიან უნდა ეცადო, რომ მშენებლობა ქვეყნის უბედურებად აქციო.**

არადა, უკვე კაი ხანია, ცდილობს ხალხი.

● **ბუნებასაც თავგზა დააკარგინა ამ კოსმიტატციამ.....**

აღარ იცის სად ითოვოს, სად იწვიმოს, სად გამოიზაფხულოს...

მოკლედ, რა.....

● **გაბუნიას ვუსმინე, ახლა გრიგოლიას ვისმენ და ხვალ გათენდება?**

● **დღეს იმდენ ორმოში ჩავარტყით მანქანა, თირკმლიდან რიყის ქვები დაიძრა.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

ახალი ვენახები რაჭა-ლეჩხუმში

სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული ახალი პროექტების და ყურძენზე გაზრდილის ფასის შემდეგ, ახალი ვენახების გაშენება რაჭა-ლეჩხუმშიც დაიწყო. ცაგერის რაიონის სოფელ ოყურეშში 10 ჰექტარზე უსახელაურის ჯიშის 20 ათასი ვაზის ნერგი ჩაიყარა, ამჟამად კი მიმდინარეობს 5 ათასი ვაზის ძირის გაშენება.

მათივე ინფორმაციით, ახლად გაშენებული ვენახი რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად დაათვალიერა.

როგორც კერძო ინვესტორებმა განაცხადეს, ამ ეტაპისთვის განხორციელებულია ნახევარი მილიონი ლარის ინვესტიცია, დასაქმებულია 60-მდე ადამიანი. პროექტი 4 წელზეა გათვლილი და ითვალისწინებს ღვინის ქარხნის მშენებლობასაც, რის შემდეგაც ყურძნის გადამუშავება და ღვინის წარმოება ადგილზე მოხდება.

ქუჩების რეაბილიტაციისთვის მთელი ღამე მუშაობენ

დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ რამდენიმე ქუჩაზე ღამის განმავლობაში გზის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა მთელი ღამის განმავლობაში ცოტნე დადიანის გამზირზე, აეროპორტის გზატკეცილზე, ბელიაშვილის, ჯავახიშვილის, წინამძღვრიშვილისა და ჩიქობავას ქუჩებზე, სადაც მიმდინარე სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მონიტორინგის ჯგუფთან ერთად დაათვალიერა. თბილისის მერიიის ინფორმაციით, აღნიშნულ ქუჩებზე ორმოული და ფრაგმენტული შეკეთება მიმდინარეობს, ხოლო დადიანის გამზირზე გზა კაპიტალურად იგება. ამ დროისთვის უკვე შეცვლილია მიწისქვეშა კომუნიკაციები, დაწყებულია პირველ სექტორზე გზის საფარის დაგება. მერიის ცნობით, დადიანის ქუჩის რეაბილიტაცია მაისის ბოლოს დასრულდება.

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქში დღის განმავლობაში არსებული ინტენსიური საავტომობილო მოძრაობის გამო, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება უმეტესად ღამით მიმდინარეობს, რათა არ მოხდეს მოძრაობის შეფერხება.

ინტერპრესი

ბიუჯეტში პროექტივების შეტანა და 300-400 მილიონი ლარით შემცირება ოპტიმალური იქნებოდა

ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ეკონომიკაში არსებულ პრობლემებსა და მათი დაძლევის სავარაუდო გზებზე „ინტერ-პრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებ-ში **ლევან კალანდაძეს** ესაუბრა.

— ბატონო ლევან, ეკონომიკურ ვითარებაზე საუბრისას ლარის კურსი და ინვესტიციების ნაკლებობა კვლავ ყველაზე აქტუალურ თემებად რჩება. ვიდრე ეროვნული ბანკი და მთავრობა კამათობენ, ლარის კურსის შესაჩერებლად უნდა იყოს თუ არა გამოყენებული რეზერვები, ლარის კურსი 2,2 -2,5-იან ზღვარს გადაშორდა. ქვეყანაში გარკვეული ინვესტიციების შემოდინებაზე ინფორმაცია კი ისმის, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მხრივაც საზარზეიმო ბევრი არც არაფერია. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება ველოდოთ ლარის კურსის კიდევ უფრო გაუფასურესებას და რას შეიძლება უკავშირდებოდეს ინვესტიციების ნაკლებობა?

— 2014 წლის მონაცემებით, ჩვენ ინვესტიციების თვალსაზრისით საკმაოდ პოზიტიური შედეგები გვაქვს. 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, 35%-ით მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. თუ 2013-ში 941 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია იყო მიღებული, 2014 წელს 1 მილიარდ 127 მილიონი მივიღეთ. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდაა, 2008 წლის შემდეგ ჩვენ ამხელა უცხოური ინვესტიცია არ გვქონია. თუმცა, ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სავალუტო შემოდინებების კუთხით არსებული პრობლემები სრულად გადაიფაროს და ის დეფიციტი, რაც პირდაპირი ფულადი გზავნილებისა და ტურიზმის ნაკადის შემცირებას მოჰყვა, ამის ხარჯზე აღმოფხვრილიყო.

ლარის კურსთან დაკავშირებული თემები მნიშვნელოვანწილად სწორედ სავალუტო შემოდინებებზეა დამოკიდებული. რამდენად სტაბილური იქნება სავალუტო შემოდინებები და რამდენად შევძლებთ ჩვენ რეგიონში არსებული ეკონომიკური პრობლემებისა და გამოწვევების გამკლავებას, ამ ბალანსის მეტ-ნაკლებად აღდგენას, ბევრად არის დამოკიდებული ლარის კურსზე.

ფაქტია, რომ ლარის კურსის ვარდნა ეგზოგენურმა, ანუ გარე ფაქტორებმა გამოიწვია. ამ საქმეში ქართული სახელმწიფოსა და მთავრობის ზემოქმედების საშუალებები მინიმალურია. რეგიონში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ ექსპორტ-იმპორტის სალდო შეამცირა. ჩვენს მთავარ სავაჭრო პარტნიორებს, რუსეთსა და უკრაინას შორის არსებულმა კონფლიქტმა მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენში საბაზრო კონიუნქტურა, რაც თავის მხრივ საექსპორტო მაჩვენებლებზე აისახა.

რაც შეეხება ლარის კურსს. დღეს მიღებული გვაქვს ლარის კურსის წონასწორობის ახალი კურსი, რომელიც 2,2 - 2,25-ის ფარგლებში მერყეობს. ეს არის ის კურსი, რომელიც მეტ-ნაკლებად შოკებისა და სერიოზული რყევების შემთხვევაში შეგვიძლია შევინარჩუნოთ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სეზონურობის ფაქტორი ხელს შეუწყობს არსებული წონასწორობის შენარჩუნებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლარის კურსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რყევები მოსალოდნელი არ არის. როცა მნიშვნელოვან რყევებზე ვსაუბრობთ, ნახტომისებურ, არასტაბილურ საკურსო ცვლილებებს ვგულისხმობ. თორემ, კრიზისული ფონის გარემოს ვითარებაში კურსის მცირედით გამყარება, ან მცირედით გაუფასურება ყოველთვის მოსალოდნელია.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, ობიექტები, რომლებიც მთავრობამ გასაყიდად გამოიტანა და, რომელთა გაყიდვითაც იგეგმებოდა შემცირებული სავალუტო ნაკადის შევსება, ამ მხრივ მნიშვნელოვანი და საინტერესო რამე ხდება?

— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ დაანონსა ე.წ. ეკონომიკური სტაბილიზაციის თემა, ყოველთვის ვამბობდი, რომ აქცენტი ამ მიმართულებით ფორსირებულ და ძალიან მკვეთრ გადაწყვეტილებებზე უნდა გაკეთებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი ობიექტი გაიყიდა, მე რატომღაც მეჩვენება, რომ შეიძლება გვქონდეს პრეტენზიები ამ პროცესის წარმართვის ტემპებთან და სწრაფ განხორციელებასთან დაკავშირებით. მე მაინც მგონია, რომ ამ საკითხებში ხელისუფლება უფრო აქტიური უნდა იყოს, უფრო სწრაფად იღებდეს გადაწყვეტილებას. მესმის, რომ შეიძლება გარკვეული ტექნიკური პროცედურებია დასაზუსტებელი, მაგრამ ამ მიმართულებაზე ეფექტურობის თვალსაზრისით უფრო სწრაფი გადაწყვეტილებებია მისაღები.

— ერკვევა თუ ვერ ერკვევა, ყველა საუბრობს იმაზე, რომ ქართული ეკონომიკა ცუდ დღეშია. ამ მოსაზრების გასამყარებლად ოპოზიციას თავისი არგუმენტები მოჰყავს, საწინააღმდეგოს სამტკიცებლად — ხელისუფლებას თავისი. ამას წინათ ამ საკითხზე ექსპერმიერმა ივანიშვილმა განაცხადა — „ამბობენ, რომ ეკონომიკა ინგრევა, კრიზისია, დაინგრა ქვეყანა, ამ დროს ამის მსგავსი არაფერი ხდება“. თქვენ როგორ დაახასიათებდით ქართულ ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას, იმ ტენდენციებს, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ სფეროში ჩამოყალიბდა, ან ჩამოყალიბების პროცესშია?

— ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან და მათ შორის, ბიზნესთან სწორი ტერმინებით კომუნიკაცია. ის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი არ არის, თითქოს ფორმალურად ყველა თანხმდება. ჩვენთან გამოკვეთილია ე.წ. სავალუტო კრიზისი, რომელიც ლარის დევალვაციაში გამოიხატებოდა. თუმცა, ეს არ გადაზრდილა ფინანსურ და საბანკო კრიზისში. ამ თვალსაზრისით საუბარი იმაზე, რომ ქვეყანაში არის სტაგნაცია, ეკონომიკა ინგრევა და იხატება აპოკალიფსური სურათი, ვფიქრობ რომ უბრალოდ არასწორია. რეალურად, ქვეყნის ეკონომიკა მართლაც მძიმე მდგომარეობაშია და ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ გაგვიუარესდა იმპორტ-ექსპორტის სალდო. ექსპორტის მონაცემები მნიშვნელოვნად შემცირებულია და ეს ნეგატიურად აისახა ლარის კურსზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის კუთხით ხელისუფლებას ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, მაგრამ ის, რომ ქვეყნის ეკონომიკა დანგრეულია, ნამდვილად არასწორი შეფასებაა.

— გასულ კვირას ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა „ევრონიუსზე“ გასულ მასალას, რომელშიც საუბარი იყო ქართულ ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე. ამ მასალაში რომან გოცირიძემ ქართულ ეკონომიკაზე საუბარისას განაცხადა — „საქართველოს მთავრობამ გადაუხვია ეკონომიკური განვითარების ლიბერალურ გზას, გეზი აიღო სახელმწიფო რეგულირებაზე და მისი როლის გაძლიერებაზე, რაც სამომავლოდ შექმნის პრობლემებს“. თქვენი აზრით, გადაუხვია თუ არა „ოცნების“ მთავრობამ ეკონომიკური განვითარების ლიბერალურ გზას, მართლა აქვს თუ არა აღებული გეზი სახელმწიფო რეგულირებაზე და ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერებაზე და დააკისრა თუ არა მთავრობამ ბიზნესს ახალი რეგულაციები, როგორც ამას აშშ-ის სავაჭრო პალატის ბორდის წევრი ტედ ჯონასი გასულ კვირას ამტკიცებდა?

— მე ტედ ჯონასის განცხადებით დავიწყებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიუჟეტი მედიაში გავიდა, ტედ ჯონასის ფბ-ზე ვიხილე მცირე პოსტი, რომელშიც იგი გარკვეულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართულმა მედიამ დაამახინჯა მისი მოსაზრებები და ინტერპრეტაციის გზით ზედმეტი სიმკაცრით დაამძიმა ეს თემა. ქვეყანას მართალაც აქვს გარკვეული პრობლემები, მაგრამ ეს პრობლემები ხშირ შემთხვევაში უკავშირდება მენეჯმენტის ეფექტურობის პრობლემას, აქცენტების სწორად დასმის საკითხს. ხელისუფლებაში რამდენჯერმე დაიშვა შეცდომები, რომლებმაც გარკვეულ წილად დაამძიმა ბიზნესგარემო. მხედველობაში მაქვს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელთა მიღების შემდეგ ხელისუფლებას მათი ან გადახედვა, ან გაუქმება დასჭირდა. ამგვარი პრობლემები ყოველთვის ახლავს პროცესს, როცა ქვეყანა და ეკონომიკური მოდელი ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენ მაინც ტრანსფორმაციისა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა ვართ და ამიტომ მე შემდგომშიც არ გამოვრიცხავ შეცდომების დაშვებას, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლება რამდენად ადეკვატური იქნება მის მიერვე დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში და რამდენად დროულად გაიაზრებს იგი დაშვებულ შეცდომებს. რა თქმა უნდა, ჯობია, შეცდომები არ დავუშვათ, თავიდანვე მაქსიმალურად დაითვალოს ყველა ფაქტორი, მაგრამ ყოველთვის ასე ვერ ხერხდება.

— მთავრობის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფომ 119 თუ 139 ახალი საწარმო დააფინანსა. მეტიც, მთავრობამ ჟურნალისტებს მათი დათვალიერება შესთავაზა. არავინ დავობს, კარგია, რომ სახელმწიფო ჩვენს ჯერაც ფეხზე ვერდამდგარ ბიზნეს დაეხმარა. მაგრამ ჯერ არსად არაფერი თქმულა იმაზე, თუ რამდენი მათგანი აწარმოებს კონკურენტუნარიან ნაწარმს, რამდენ მათგანს გააქვს თავისი ნაწარმი ექსპორტზე და რამდენი მუშაობს შიდა ბაზარზე და ამით ბიუჯეტი სავარაუდოდ, რამდენს მიიღებს? გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბიზნესმა სახელმწიფოს დახმარებით რამდენი ადამიანი დაასაქმა და რამდენია დასაქმებულთა საშუალო ხელფასი? ვინაიდან, ეს მონაცემები ჟურნალისტებისთვის ხელმიუწვდომელია, იქნებ თქვენ იცით რაიმე მათ შესახებ?

— აბსოლუტურად სწორად სვამთ კითხვას. საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაცია წარმატების ერთ-ერთი პირობაა. იგი ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც სამომავლო ორინეტირების სწორად განსაზღვრას ემსახურება. ფაქტია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ამ თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები აქვს. წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, როცა კეთდებოდა გარკვეული საქმე, იგი ათმაგად წარმოჩდებოდა. დღეს თითქოს გარკვეული ნაკლებობა და დეფიციტი შეინიშნება უკვე გაკეთებული საქმეების საზოგადოებამდე სწორად მიტანის კუთხით.

თქვენთვის რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, მეც განვიცდი ინფორმაციის ანალოგიურ დეფიციტს. ეს მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობ ყურადღებით გავეცნო კერძო საწარმოებთან მიმართებაში სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ პროექტების ყოველკვარტალურ შედეგებს.

ზოგადად, მე სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ბიზნესისთვის და ბიზნესის დაფინანსებისთვის ფულის მიცემის წინააღმდეგი ვარ. ხელისუფლების როლი და მთავარი ამოცანა არის ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა,. ბიზნესმა თავად უნდა იზრუნოს კონკრეტული საინვესტიციო რესურსის მოზიდვაზე, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყანა გარდამავალ ეტაპზეა, გარკვეული სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ამა თუ იმ სასაქონლო ჯგუფების წარმოების წახალისებას ემსახურება, არ უნდა გამოვრიცხოთ.

ვიცი რამდენიმე საწარმო, რომლებმაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებით ისარგებლა, აწარმოებს ძალიან მაღალი ხარისხის საექსპორტო პროდუქციას, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ღვინოს და აქვთ დასაქმების მაჩვენებლით გარკვეული ზრდაც. თუმცა, მაკროდონეზე ეს რამდენად შედეგის მომცემია სახელმწიფოსთვის გრძელვადიან პერსპექტივაში,ხელისუფლებას კიდევ დამატებით მოუწევს მუშაობა და საზოგადოებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

— გასულ კვირას პრემიერი რაჭა-ლეჩხუმ-ქვემოს სვანეთში იმყოფებოდა. ითქვა რომ, პროგრამა „ძლიერი რეგიონები — ძლიერი საქართველოს“ ფარგლებში ხელისუფლებამ ამ რეგიონში ბიზნესის განვითარებისთვის 44 მილიონი ლარი გამოყო. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება გვქონდეს იმის იმედი, რომ სახელმწიფოს მიერ ბიზნესის განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსებით რეგიონებში ეკონომიკური ცხოვრება გამოცოცხლდება? თუ გაქვთ ინფორმაცია კიდევ რომელ რეგიონში გეგმავს ხელისუფლება ბიზნესის განვითარებისთვის სოლიდური თანხებით დახმარების აღმოჩენას?

— მე გავეცანი სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში ანალოგიურ პრეზენტაციის მასალებს. ვთვლი, რომ ეს მასალები არის ამ რეგიონებში ბიზნესის წარმოების გზამკვლევი. სხვათა შორის, კარგი კვლევები იყო ჩატარებული. ისინი მნიშვნელოვნად წარმოაჩენენ ამ რეგიონების საინვესტიციო პოტენციალს. მართლაც კარგი გზამკვლევია ნებისმიერი ინვესტორისთვის ამ რეგიონებში თუ რა მიმართულებით შეიძლება გაკეთდეს ინვესტიცია და რამდენად სწორად დაისვას ბიზნესაქცენტები.

ეს კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ იმედი იმისა, რომ ამ კვლევებითა და პრეზენტაციებით მოხდება ბიზნესის განვითარება და ეს იქნება საკმარისი პირობა ამ რეგიონების ეკონომიკური განვითარებისთვის, მე ეს მოლოდინი არა მაქვს. ვიცი, რომ ეს აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა რეგიონებში ეკონომიკის განვითარებისთვის.

ვისურვებდი, რომ ხელისუფლება გახდეს ბიზნესის ლობისტი და დაეხმაროს მას კონკრეტული ქეისების, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციაში და თავად ხელისუფლება, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური, გამოვიდეს კონკრეტული შეთავაზებების რეალიზაციის ხელშემწყობი და ინიციატორი. ამ თვალსაზრისით ხელისუფლებას აქტივობა სჭირდება.

ძალიან კარგია რეგიონალურ ჭრილში ე.წ. გზამკვლევების მომზადება, მაგრამ კიდევ არის დარგობრივი ჭრილი. მაგალითად, ზოგადად საინტერესოა, როგორია სოფლის მეურნეობის პოტენციალი და ქვეყნის ენერგეტიკული შესაძლებლობები. ამ თემებზე კვლევები ხელისუფლებას ასევე აქვს მოსამზადებელი. ეს მასალები წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა და გააადვილებდა პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობას.

კობა გენდელიანი

◎ ალიან-ჩალიანი

რას არ მოიფიქრეს გაჭირვებული კაცი

ქუთაისის მერის შოთა მურღულიას მანქანასთან მრავალშვილიანმა, სოციალურად დაუცველმა მამაკაცმა დავით გვეტაძემ მჯდომარე აქცია დაიწყო.

მამაკაცის განცხადებით, ქუთაისის მერი მას თვეებია, დახმარებას ჰპირდება, თუმცა უშედეგოდ.

დავით გვეტაძის თქმით, გასულ კვირას ქუთაისის მერს თვითმმართველობის შენობასთან დახვდა და დაპირებული დახმარება შეახსენა, შოთა მურღულიამ კი უთხრა, რომ ორშაბათს საკუთარ კაბინეტში შეხვდებოდა.

„შესვლა მინდოდა მასთან, თუმცა დაცვამ შენობაში არ შემიშვა. მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი მარტოხელა მამა ვარ. არავინ არ მეხმარება და მინდოდა, მეთქვა, რომ ელემენტარულად დამხმარებოდნენ. ვიდრე მერიის წარმომადგენელი არ ჩამოვა და შოთა მურღულიას არ შეატყობინებს, რომ შემხვდეს, მანამდე მის მანქანასთან ვიქნები და მანქანის დაძვრის საშუალებას არ მივცემ“, — აცხადებს დავით გვეტაძე.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მსოფლიოს მომავლის პროგნოზი 2099 წლამდე...

Coogle-ის ტექნიკური დირექტორი და ცნობილი ტექნოლოგიური ფუტუროლოგი რეი კურცვეილი მიმდინარე წლის დასაწყისში გამოვიდა წინასწარმეტყველების მორიგი ულუფით.

კურცვეილი, რომელიც თანამედროვე მიღწევათა ერთ-ერთი მთავარი მკვლევარია ხელოვნური ინტელექტის დარგში, აქვეყნებს თავის პროგნოზებს 1990-იანი წლებიდან. რომელთაგანაც ბევრი აკადემიური გახდა.

მაგრამ თუ ჯერ კიდევ 5 წლის წინათ იგი სულ უფრო ხშირად მიმართავდა ხანგრძლივ პერიოდებს, უკანასკნელ ხანებში მეცნიერის ვარაუდებში გაჩნდა ქრონოლოგიური სიმწყობრე, შესაძლებელია, სიზუსტეზე გავლენა იქონია მისმა მუშაობამ ყველაზე დიდ ინტერნეტ კომპანიაში, სადაც ფუტუროლოგი აღმოჩნდა მრავალინოვაციურ დამუშავებათა მოწიავე პოზიციებში.

კურცვეილი თითქოს გვეპატიჟება, მონაწილეობა მივიღოთ ინტელექტუალურ თამაშში და შეაგროვა მომავლის სურათი მისი ძველი და ახალი წინასწარმეტყველებებიდან. თუ შევაგროვებთ ყველა პროგნოზს, რომლებიც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გაკეთდა წიგნებში, ინტერვიუებსა და ლექციებში, შეიძლება შევნიშნოთ, რომ მომავალი 2019-დან 2099 წლამდე მეცნიერმა ჩამოწერა პირდაპირ წლების მიხედვით.

2019 — მავთულები და კაბელები პერსონალური და პერიფერიული მოწყობების ნებისმიერი სფეროსათვის წარსულს ჩაბარდება.

2020 — პერსონალური კომპიუტერები მიაღწევენ საანგარიშო სიმძლავრეებს, რომლებიც შეიძლება ადამიანის ტვინს შევადაროთ.

2021 — უმავთულო შეღწევა ინტერნეტში დაფარავს დედამიწის ზედაპირის 85 პროცენტს.

2022 — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში მიიღებენ კანონებს, რომლებიც მოაწესრიგებენ ადამიანებისა და რობოტების ურთიერთობებს. რობოტების საქმიანობა, მათი უფლებები, ვალდებულებები და სხვა შეზღუდვები ფორმალიზებული იქნება.

2024 — კომპიუტერული ინტელექტის ელემენტები აუცილებელი გახდება ავტომობილებში. ადამიანებს აუკრძალავენ მიუჯდნენ ავტომობილის საჭეს, რომელიც არ იქნება აღჭურვილი კომპიუტერული თანაშემწეებით.

2025 — გაჯეტების — იმპლანტანტების მასობრივი გამოჩენა.

2026 — სამეცნიერო პროგრესის წყალობით, დროის ერთეულისთვის ჩვენ გავახანგრძლივებთ ცხოვრებას უფრო მეტი დროით, ვიდრე წარსულში.

2027 — პერსონალური რობოტი, რომელსაც შეეძლება სრულიად ავტონომიური რთული მოქმედებები, გახდება ისეთივე ჩვეულებრივი რამ, როგორიცაა მაცივარი ან ყავის მადუღარა.

2028 — მზის ენერგია გახდება იმდენად იაფი და გავრცელებული, რომ დააკმაყოფილებს კაცობრიობის მთელი ენერგეტიკული მოხმარების ჯამს.

2029 — კომპიუტერმა შეიძლება გაიაროს ტიურინგის ტესტი, დაადასტუროს გონების არსებობა ამ სიტყვის ადამიანური გაგებით. ეს მიიღწევა ადამიანის ტვინის კომპიუტერული სიმილაციით.

2030 — ნანოტექნოლოგიების აყვავება მრეწველობაში, რაც ყველა პროდუქტის წარმოების მნიშვნელოვან გაიაფებასთან მიგვიყვანს.

2031 — 3D პრინტერები ადამიანის ორგანოების დაბეჭდვისათვის გამოიყენება ნებისმიერი დონის საავადმყოფოებში.

2032 — ნანორობოტებს გამოიყენებენ სამედიცინო მიზნებით. მათ შეუძლია მიაწოდონ საკვები ნივთიერებები ადამიანის ქსოვილებს და თავიდან მოიშორონ ზედმეტი რამ.

2033 — თვითმართვადი ავტომობილები შეავსებენ გზებს.

2034 — ადამიანის პირველი პაემანი ხელოვნურ ინტელექტთან. ფილმი „იგი“ სრულყოფილი სახით: ვირტუალური შეყვარებული შეიძლება აღვჭურვოთ „სხეულით“, მოვახერხოთ გამოსახულების პროექტირება თვალის ბადურაზე. მაგალითად, კონტაქტური ლინზების ან ვირტუალური რეალობის სათვალეების დახმარებით.

2035 — კოსმოსური ტექნიკა გახდება საკმაოდ განვითარებული, რათა უზრუნველყოთ დედამიწის მუდმივი დაცვა ასტეროიდებთან შეხვედრის საფრთხისგან.

2036 — ბიოლოგიისადმი მიდგომის გამოყენებით კაცობრიობა პირველად შეძლებს დააპროგრამოს უჯრედები დაავადებათა მკურნალობისათვის, ხოლო „3D პრინტერების გამოყენება საშუალებას მოგვცემს, გამოვზარდოთ ახალი ქსოვილები და ორგანოები.

2037 — გიგანტური გარღვევა ადამიანის ტვინის საიდუმლოების გამორკვევაში. განისაზღვრება ასობით სხვადასხვა რეგიონი სპეციალიზებული ფუნქციებით. ზოგიერთი ალგორითმი, რომლებიც ახდენენ ამ რეგიონების განვითარების კოდირებას, იქნება გაშიფრული და ჩართული კომპიუტერების ნეირონულ ქსელში.

2038 — რობოტიზირებული ადამიანების, ტრანსჰუმანისტური ტექნოლოგიების პროდუქტების გამოჩენა. ისინი აღჭურვილი იქნებიან დამატებითი ინტელექტით და სხვადასხვა იმპლანტატორებით — თვალის კამერებიდან დაწყებული დამატებითი ხელი-პროთეზებით დამთავრებული.

2039 — ნანომანქანები იმპლანტირებული იქნებიან პირდაპირ ტვინში და განახორციელებენ სიგნალების ნებაყოფლობით შეყვანასა და გამოყვანას ტვინის უჯრედებიდან. ეს მიგვიყვანს „სრული ჩაყვინთვის“ ვირტუალურ რეალობასთან რომელიც არ მოითხოვს არანაირ დამატებით მოწყობილობას.

2040 — სამძებრო სისტემები გახდება საფუძველი გაჯეტებისთვის, რომლებიც შეესისხლხორცებიან ადამიანის ორგანიზმს. ძიება განხორციელდება არა მხოლოდ ენის მეშვეობით, არამედ აზრების მეშვეობითაც, სამძებრო შეკითხვების შედეგები კი გაჩნდება იმავე ლინზების ან სათვალეების ეკრანებზე.

2041 — ინტერნეტის უკიდურესი გამტარუნარიანობა გაიზრდება 500 მილიონჯერ უფრო მეტად, ვიდრე დღესაა.

2042 — უკვდავების პირველი პოტენციური რეალიზაცია — ნანორობოტების არმიის წყალობით, რომელსაც შეავსებს იმუნური სისტემა.

2043 — ადამიანის სხეულს შეეძლება მიიღოს ნებისმიერი ფორმა ნანორობოტების დიდი ოდენობის წყალობით. შინაგანი ორგანოები შეიცვლება გაცილებით უკეთესი ხარისხის კიბერნეტიკული მოწყობილობებით.

2044 — არაბიოლოგიური ინტელექტი გახდება მილიარდზე მეტად გონიერი, ვიდრე ბიოლოგიურია.

2045 — ტექნოლოგიური სინგულარულობის დადგომა. დედამიწა ერთ გიგანტურ კომპიუტერად იქცევა.

2099 — ტექნოლოგიური სინგულარულობის პროცესი გავრცელდება მთელ სამყაროზე.

რას იზამ, ასეთ პროგნოზებს ძნელად რომ დაუჯეროს ადამიანმა. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოების განვითარების უზარმაზარ ტემპებს, გასაგები ხდება, რომ უახლოეს მომავალში ასეთი რამეც შესაძლებელია. ჯერჯერობით კი ჩვენ მხოლოდ თვალყური უნდა ვადევნოთ.

დედამიწის ზურგზე

სახელმწიფო დუმაში განიხილავენ ინიციატივას მუქთახორობისათვის დასჯის შესახებ, რაც პეტერბურგის დეპუტატებმა წამოაყენეს

გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ამტკიცებენ, რომ სანქტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრებამ თითქოსდა მოამზადა შესწორებათა პაკეტი ამ თემაზე ფედერალურ კანონებში შესატანად. დეპუტატები აყენებენ წინადადებებს, რომ ის რუსეთელები რომლებიც თავს არიდებენ შრომით მოწყობას, დაისაჯონ შრომა-გამასწორებელი მუშაობით ერთ წლამდე ვადით, ნათქვამია მასალაში.

უკრაინის უმაღლესი რადის სპიკერმა ხელი მოაწერა დოკუმენტს პუტინის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ

უკრაინის პარლამენტმა გაავრცელა რეკომენდაცია, შემოიღონ პერსონალური სანქციები 35 რუსი პოლიტიკოსის წინააღმდეგ, მათ შორის, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგაც. მიღებულ დოკუმენტს მოკლედ „სავჩენკოს სიას“ უწოდებენ. მხედველობაშია მიღებული უკრაინელი მფრინავი ქალი ნადეჟდა სავჩენკო, რომელიც მოსკოვის სამძებრო განყოფილებაში იმყოფება დონბასში რუსი ჟურნალისტების დაღუპვის საქმეში მონაწილეობის ბრალდებით.

უკრაინა და ევროკავშირი ნდობის კრიზისს განიცდიან - ევროპაში ეჭვი ეპარებათ, რომ კიევი შეასრულებს მინსკის შეთანხმებათა თავის ნაწილს

კიევში იხსენება კრიზისის დაწყებიდან პირველი უკრაინა-ევროკავშირის სამიტი. ევროპელი დიპლომატები ზემოქმედებას ახდენენ უკრაინის ხელისუფლებაზე, არწმუნებენ მას, შეასრულოს მინსკის შეთანხმებათა თავისი ნაწილი, კიევი ვერ მალავს თავის გაწბილებას პროგრესის უქონლობის გამო უვიზო რეჟიმისა და სავაჭრო შეთანხმებათა ნაწილში. ვაშინგტონში ლოდინის პოზიცია დაიკავეს.

კლინტონების ფონდმა აღიარა ზოგიერთი დანაკლისი, მაგრამ უარყოფს დარღვევებს უცხოელ შემწირველებთან მუშაობაში

ფონდის ვიცე-პრეზიდენტმა მორა პელიმ განმარტა, რომ კანადის კანონმდებლობის თავისებურებამ საშუალება არ მისცა ორგანიზაციას, გამოექვეყნებინა მონაცემები დიდი შემოწირულობების შესახებ ფრენკ ჯუსტრისგან — იგი ერთ-ერთი კომპანიის მეთაურია, რომელსაც კონტროლს უწევს რუსეთის „როსატომი“. კლინტონების კავშირის შესახებ ამ კომპანიასთან ინფორმაცია გაჩნდა გასულ კვირას და, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ამან შეიძლება შეარყიოს ჰილარი კლინტონის პოზიციები სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ბრძოლის პერიოდში.

◎ წარდგენა-განხილვა

ილია მართალი და რელიგია

უკანასკნელ ოთხ წელიწადში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა ნამდვილი მეცნიერული გმირობა ჩაიდინა: გამოსცა ხუთ წიგნად ჩაფიქრებული ნაშრომის „ილია დღეს“ პირველი სამი ტომი.

ეს ტომეულები და მომავალი IV და V წიგნები, რომლებიც სავარაუდოდ მალე იხილავს დღის სინათლეს, არის მეორე, შევსებული გამოცემა 2008 წელს დასტამბული ამავე სახელწოდების სქელტანიანი მონოგრაფიისა, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობის სისტემური გაანალიზების და გადმოცემის ცდა, როგორც თავმდაბლად წერს ავტორი.

შრომის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს და ერთდროულად მიზანს წარმოადგენდა ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის, იდეოლოგიის, თეორიებისა და კონცეფციების, მის თანადროულ და წინა პერიოდების უდიდეს მოაზროვნეებთან ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა, იდეური ნათესაობის კვლევა, რათა მკითხველისთვის საცნაური გამხდარიყო ილიას აზროვნების სიღრმე და მასშტაბები.

ის პირველი ცდა ჭეშმარიტად წარმატებული აღმოჩნდა. ამასთან გაირკვა, რომ ავტორი მასზე ვერ შეჩერდებოდა. გრძელდებოდა ილიას ოცტომეულის გამოცემა, რომელშიც შევიდა ასობით ახალი, პუბლიცისტურ-სამეცნიერო, პოლიტიკური შინაარსის წერილი, რამაც ილიას მეცნიერულ-პოლიტიკური კვლევის არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა. ბევრ კონცეპტუალურ პრობლემასთან დაკავშირებით წარმოჩნდა მანამდე სრულიად უცნობი ახალი ასპექტები, ახალი მიმართულებები, გამდიდრდა და მრავალფეროვანი გახდა არგუმენტაციის ბაზა ნებისმიერ პრობლემასთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ავტორმა გადაწყვიტა ნაშრომის „ილია დღეს“ შევსებული გაფართოებული გამოცემა. ოღონდ „შევსებული“ და „გაფართოებული“ ძალიან შევსებული, ძალიან გაფართოებული გამოდგა, როგორც მოსალოდნელი იყო სერიოზული მეცნიერისგან. ერთი ტომი (მართალია ძალიან ტანსრული) ხუთ ასევე ვრცელ ტომად იქცა (შეიძლება ბოლოს სულაც 6 ტომადაც კი იბარტყოს).

როგორც მოგახსენეთ, ამ ჩაფიქრებული ხუთტომეულიდან სამი უკვე გამოიცა. I (2011 წ.) და II (2012 წ.) წიგნები ეძღვნება პოლიტიკურ ფილოსოფიას, იდეოლოგიას, პოლიტიკას, პოლიტიკოსებს. III წიგნში (2014 წ.) შესულია ილიას დამოკიდებულება რელიგიასთან.

„ილია და რელიგია“ – ფაქტობრივად ახალი, შედარებით გამოუკვლეველი, უფრო ზუსტად, მიკერძოებულად, ტენდენციურად, არაობიექტურად ნაკვლევი თემაა, რის მიზეზიც იდეოლგიური ფაქტორი იყო: რადგან საყოველთაო აღიარებით ილია „საქართველოს აზროვნების ბერმუხად“ ითვლებოდა, ის აუცილებლად უნდა წარმოჩენილიყო, როგორც მატერიალისტი და ათეისტი, მაშინ როცა ი. ჭავჭავაძე ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო.

ო. გოგიაშვილი აღნიშნავს, რომ პირველ გამოცემაში სათანადოდ ვერ მოახერხა გაანალიზებინა ილიას რელიგიური ფილოსოფია, მისი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მრწამსი, ურთიერთმიმართება საერო და სასულიერო ღირებულებასთან. ამ გარემოებამ განაპირობა ავტორის განზრახვა ილიას მრავალმხრივი მემკვიდრეობის ამ ყველაზე გაყალბებული პრობლემისთვის ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა მიეძღვნა, იმის შესაბამისად, რომ ოცტომეულის გამოცემამ მნიშვნელოვნად გაიფართოვა საკვლევი ბაზა.

„ილია დღეს“ ეს მონაკვეთი – III ტომი 635 გვერდს შეიცავს. მასში განხილულია საკითხები: ილია და გაბრიელ ეპისკოპოსი; რელიგია და პოლიტიკა; რელიგიები და პოლიტიკური სისტემები; სარწმუნოება და ეროვნულობა; რელიგია როგორც ზნეობრივი ფილოსოფია; ადამიანის ხასიათი, ბუნება, ვნებები, ქრისტიანობა – საკაცობრიო ღირებულებების საუნჯე; ანუ ილიას შეხედულებები ჩამოთვლილ თემებზე.

ეს ვრცელი ჩამოთვლა იმად მოვიხმეთ, რომ მკითხველისთვის თვალნათელი გახდეს თუ რამდენად ღრმად და გამოწვლილვით განიხილავს თემას ბატონი ომარ გოგიაშვილი და გონებისთვის რამდენად ფართო და მდიდარ განსაჩხრეკელს აძლევს მკითხველს.

წიგნი დაიბეჭდა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტ **ზოსიმეს** ლოცვაკურთხევით. რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი.**

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა პროფესორ ომარ გოგიაშვილის მრავალტომეულის მესამე ტომის „ილია დღეს“ განხილვა.

შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ მოისმინა ქართული უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **სერგო ვარდოსანიძის** შესავალი სიტყვა, **მეუფე ზოსიმეს,** აკადემიკოს **როინ მეტრეველის,** პროფესორების **თამაზ ტყემალაძის, ვალერი ასათიანის, ვახტანგ გურულის** და თვით ავტორის, პროფესორის **ომარ გოგიაშვილის** შინაარსიანი გამოსვლები. ხაზი გაესვა, რომ ილიას თვალსაზრისი რელიგიასთან დაკავშირებით და რელიგიის მიმართება პოლიტიკასთან, ქართული ეროვნული ცხოვრების შინაარსთან, ილია მართლის პოლიტიკური ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის უაღრესად მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში განმსაზღვრელი შემადგენელი ნაწილია, რასაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იკვლევდა.

სანდრო ალექსიძე

განცხადება

2015 წლის 17 ივნისს, 15 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25), ხოლო 2015 წლის 18 ივნისს 14 საათზე, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №64) გაიმართება ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მდ. რიონზე ნამახვანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი და ნამახვანი ჰესი) მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25;**
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა №64;**
- **სს „ნამახვანის“ ოფისში - ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №8. ტელ: 2 18 11 31;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

სს „ნამახვანის“ ადმინისტრაცია

როგორ ცხოვრობს საქართველო?

ბელარუსის სამთავრობო ტელეკომპანია „СТОЛИЧНОЕ ТЕЛЕВИДЕНИЕ“-მ 25 აპრილს პროგრამაში „КАРТИНА МИРА“ უჩვენა დოკუმენტური ფილმი საქართველოს შესახებ.

გთავაზობთ მოკლე შინაარსს:

პროგრამის წამყვანი **იური კოზიატკო:** გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო პრეზიდენტ ალ.ლუკაშენკოს ვიზიტი საქართველოში. პირველად დამოუკიდებელი ბელარუსის ისტორიაში სახელმწიფოს მეთაური თბილისს ეწვია და საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ელიტის წარმომადგენლებს შეხვდა. ხელმოწერილი შეთანხმებები იმედს გვაძლევს, რომ უახლოეს ხანში საქართველოსა და ბელარუსს შორის ვაჭრობის მოცულობა სწრაფად გაიზრდება.

ეკონომიკა – უპირველეს ყოვლისა! მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო ქართულ-რუსული ურთიერთობების „გალღობა“, რომელიც საფუძვლიანად გაუარესდა 2008 წლის ცხელი აგვისტოს შემდეგ. ამ სიტუაციაში ოფიციალურ მინსკს შეუძლია, თუ შუამავლის არა, მშვიდობისმყოფლის როლი მაინც შეასრულოს: მას ხომ ორივე ენდობა – თბილისიც და მოსკოვიც! ამას დავუმატოთ ბოლო დროს ბელარუსის რეპუტაციის განმტკიცებაც, რომელიც აშკარად დადებით როლს შეასრულებს. საქართველოს პრეზიდენტმა ტყუილად ხომ არ განაცხადა, რომ „მინსკი – ეს ის ადგილია, სადაც ბევრი პროცესის ბედი მშვიდობიანად წყდება“.

ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტი და საერთოდ, როგორ ცხოვრობს დღეს ამიერკავკასიის ეს რესპუბლიკა, ჩვენი სპეცკორესპონდენტის ოლღა პეტრაშევსკაიას მიერ გადაღებულ 45-წუთიან დოკუმენტურ ფილმში.

(ვიდეო: ოლღა პეტრაშევსკაია თბილისელებს ქალაქურ ცხოვრებაზე, სხვადასხვა უბნების და ქუჩების ისტორიაზე, ადგილობრივ კოლორიტზე, „იტალიური ეზოების“ გულღიაობაზე, ახალ წესებსა და ტრადიციებზე ესაუბრა...).

ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში საქართელო კორუმპირებული ქვეყნის სახელით სარგებლობდა, მექრთამეობა სახელმწიფო სტრუქტურების უმეტესი ნაწილის თანამშრომლებს სულსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი. სასაცილო სიტუაცია იყო: საგზაო ინსპექციაში რომ მუშაობა დაგეწყო, ქრთამი უნდა მიგეცა, შემდეგ კი ქრთამის სახით დახარჯულ ფულს მძღოლებისაგან იღებდნენ. მაგრამ ხელისუფლებაში ახლა უკვე ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ საკაშვილის მოსვლის შემდეგ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა: პოლიციელებს ხელფასები მოუმატეს, რათა ქრთამის აღების რისკი გამქრალიყო, სახანძრო დაცვა და სანეპიდსადგურები კი საერთოდ გააუქმეს. ყველაზე მეტი ცვლილება კი ადმინისტრაციულ შენობებს შეეხო: პოლიციის რაიონული ოფისები სრულიად გამჭვირვალე გახდა, ასევე იუსტიციის სახლები, რაც მოსახლეობაში პოზიტიურ შთაბეჭდილებას იწვევდა“, – ნათქვამია ვიდეოსიუჟეტში.

ავტორი ვრცლად ეხება და აღწერს მცხეთის – საქართველოს ძველი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, სიღნაღის თვალწარმტაც სილამაზეს, ბათუმის ხედებს... ესაუბრება ადგილობრიც მცხოვრებლებს, მეწარმეებს, სასტუმროების მფლობელებს..

ვიდეოსიუჟეტში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ალექსანდრე ლუკაშენკოსა და გიორგი მარგველაშვილის განცხადებებს სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე, ბელარუსის პრეზიდენტის შეხვედრას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარაქთან.

დასასრულს ფილმის ავტორი დასკვნას აკეთებს:

„საქართველო და ქართველი ხალხი გულღიაობის და გულწრფელობის განსახიერებაა. ჩვენ იმდენად ხშირად გვესმის კავკასიური ეროვნების პირების შესახებ, თანაც მხოლოდ ნეგატიური აზრით, რომ გვიფიქრია - მართლაც ასე ცუდები არიან ისინი? ჩვენ მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ: ერთი კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ვიყავით საქართველოში და არც ერთ ადამიანს უარი არ უთქვამს ჩვენს გულწრფელ მიპატიჟებაზე იმის მიუხედავად, რომ პირველად გვხედავდნენ და არ გვიცნობდნენ. თითქოსდა ჩვენს შორის ორიათასნახევარი კილომეტრი არც არსებობდეს“.

მოამზადა სიმონ კილაძემ,
„რეპორტიორის“ ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა

◎ ჭიდაობა

ჭაბუკთა ცხრა მედალი



3 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“ და 4 „ბრინჯაო“ – ასეთი შედეგით დასრულეს შეჯიბრება თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა სომხურ ვანაძორში გამართულ ოვანეს ბაგრამიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ხაშურელი ცოტნე მიქელაშვილი (76), თბილისელები – ბექა ჭელიძე (85) და ბექა ნადაშვილი (100; ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი). 85 კილოში ქართული ფინალი გაიმართა – ჭელიძემ თბილისელ შალვა დოხნაძეს (ოლიმპიური რეზერვები) მოუგო. ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა თბილისელი ჯაბა მაისურაძე.

კიდევ ერთი ვერცხლის მედალი გორელ გიორგი ბერუაშვილს (42), ხოლო ბრინჯაოსი – ამბროლაურელ გიორგი ელბაქიძეს (50), ხაშურელ ავთანდილ გოდელაშვილსა (58) და სამტრედიელ ელგუჯა ბალანჩივაძეს (100) ერგოთ.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

ოლიმპის ზღურბლთან

უკვე გაუწყეთ, რომ სტარტზე რუსებთან ყაიმით დასრულებული შეხვედრის შემდეგ საქართველოს ქალთა ნაკრები უდანაკარგოდ თამაშობს ჩინეთის ქალაქ ჩენდუში მიმდინარე მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე და ფინიშამდე ორი ტურით ადრე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის რეალური კანდიდატია.

ზედიზედ მეხუთე და მეექვსე გამარჯვებები ჩვენმა მანდილოსნებმა, შესაბამისად, ამერიკელებთან (3:1) და ინდოელებთან (2,5:1,5) მოიპოვეს. აღნიშნულ მატჩებში ორივე პარტია მოიგო მერი არაბიძემ, ხოლო კიდევ ერთი ქულა პარტნიორებს „ჯვაროსანთა“ ლიდერმა ბელა ხოტენაშვილმა შესძინა.

სატურნირო მდგომარეობა: საქართველო – 13, რუსეთი – 11, ჩინეთი – 9, უკრაინა – 8, სომხეთი, ინდოეთი, ყაზახეთი – 6-6, აშშ, პოლონეთი – 5-5, ეგვიპტე – 0 ქულა.

გუშინ საქართველომ სომხეთს სძლია – 3:1 და დღეს ჩინელებთან ბოლო ტურში ყაიმიც ჰყოფნის ოქროს მედლების მოსაპოვებლად.

კობა კობახიძე

◎ ბატუტზე ხტომა

მსოფლიოს თასის პრელუდია მარნეულში



ივნისის დასაწყისში სანკტ-პეტერბურგი მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპსა და „დიდი პეტრეს თასის“ გათამაშებას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებებზე თენგიზ კოშკაძე, გიორგი ფუტკარაძე, თამარ კაკაშვილი, ნანა გოგაშვილი და ლუბა გოლოვინა უფროსებში გამოვლენ, ხოლო ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა, ზურაბ ნოზაძე და ქრისტინე სორდია ახალგაზრდებში მოსინჯავენ ძალებს. ეს ცნობილი გახდა საქართველოს ჩემპიონატის (მთავარი მსაჯი ლია ხრიკული) შემდეგ, რომელიც მარნეულის სასპორტო კომპლექსში გაიმართა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა (გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი) და სპორტის მესვეურთა (მამუკა ნავერიანი) დახმარებითა და თანადგომით. შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისის, გორის, ბათუმისა და მარნეულის 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა გვითხრა, მასპინძლებმა ერთი წლის წინათ გახსნეს ბატუტზე ხტომის სექცია ვეტერან სპორტის ოსტატ აკაკი გაბაშვილის ხელმძღვანელობით და იქაურმა სპორტსმენებმა უმცროს ასაკში უკვე რამდენიმე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

კვარცხლბეკი

სპორტის ოსტატის პროგრამით

გოგონები. 1. თეონა ჯანჯღავა (51,63), 2. ნანა გოგაშვილი (50,52), 3. სოფო დაშნიანი (სამივე-თბილისი, 44,66). **ვაჟები.** 1. ზურაბ ნოზაძე (53,04), 2. გიორგი ავლოხაშვილი (51,47), 3. გიორგი ფუტკარაძე (სამივე-თბილისი, 50,55).

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით

გოგონები. 1. სოფო დაშნიანი (83,85), 2. ნუცა ჭკუასელი (81,00), 3. ანა აფაქიძე (სამივე-თბილისი, 68,88). **ვაჟები.** 1. გიორგი ავლოხაშვილი (92,07), 2. გიორგი ნაცვლიშვილი (ორივე-თბილისი, 85,94), 3. თორნიკე ბარბაქაძე (ქუთაისი, 45,40).

სინქრონული ხტომები

გოგონები. 1. ნანა გოგაშვილი, თამარ კაკაშვილი (80,10), 2. სოფო დაშნიანი, მეგი ფარულავა (68,60), 3. მარიამ ეგაძე, ნუცა ჭკუასელი (56,10). **ვაჟები.** 1. ლაშა გაბაშვილი, გიორგი ავლოხაშვილი (ყველა-თბილისი, 74,30), 2. ონისე თვალავაძე, თორნიკე ბარბაქაძე (ქუთაისი, 43,50).

გუნდური

გოგონები. 1. თბილისი, 2. ბათუმი, 3. გორი. **ვაჟები.** 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. მარნეული.

ლაშა დიდია

სურათზე: სხვადასხვა ასაკში გამარჯვებულები და პრიზიორები.
ავტორის ფოტო.

◎ თარილი

კაცობაშიც ჩემპიონი

ტატამის სახელოვან ოსტატს, პირველ ქართველ მსოფლიოს ჩემპიონს ძიუდოში თემურ ხუბულურს 60 წელი შეუსრულდა.

თემურ ხუბულური ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ძიუდოისტი გახლავთ. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მან პირველად 1979 წლის 6 დეკემბერს პარიზში, პიერ დე კუბერტენის სახელობის დარბაზში მოიპოვა, ორი წლის შემდეგ ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში კი მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ორივე შემთხვევაში მან ფინალი ბელგიელ ვან დე ვალეს მოუგო, ვისთანაც 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ფინალში დამარცხდა.

თემურ ხუბულური ქართველ ძიუდოისტთა შორის დღემდე ერთადერთი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია!

მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებული 2 ოქროს მედლის და ოლიმპიური ვერცხლის გარდა, თემურ ხუბულურის წარმატებათა ნუსხაშია ევროპის ჩემპიონატზე მოხვეჭილი 2 ოქროს და ვერცხლის მედალი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის ოქრო, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ოქრო, ორჯერ მოგებული საკავშირო ჩემპიონატი და საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა.

1979 წელს თემურ ხუბულური საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

სპორტის რაინდი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით გამორჩეული დეპუტატიც გახლავთ. შეგახსენებთ, რომ ამასწინანდელ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის წევრმა დამსახურებისამებრ მიუზღო ნაციონალური კოშმარის გადმონაშთებს.

მრავალჟამიერ, ჩემპიონო.

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ თბილისი-2015

მეტოქეთა ვინაობა გაირკვა

ივლისის მიწურულს საქართველოს დედაქალაქი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. „თბილისი-2015“-ის პროგრამაში შეტანილია გუნდური სათამაშო სახეობები – კალათბურთი, ხელბურთი და ფრენბურთი. შეჯიბრების შვიდი მონაწილე რეიტინგის მიხედვით შეირჩა, რომელთაც დაემატება საქართველო, როგორც მასპინძელი. გასულ უქმეებზე სამივე სახეობაში წილისყრა გაიმართა. გაუწყებთ მათს შედეგებს:

კალათბურთი

ვაჟები

A ჯგუფი: საქართველო, ლატვია, თურქეთი, ბოსნია,

B ჯგუფი: ესპანეთი, იტალია, სერბეთი, გერმანია.

გოგონები

A ჯგუფი: რუსეთი, ლატვია, უნგრეთი, საფრანგეთი,

B ჯგუფი: საქართველო, ჩეხეთი, თურქეთი, ბელგია.

ფრენბურთი

ვაჟები

A ჯგუფი: საქართველო, პოლონეთი, ბულგარეთი, რუსეთი,

B ჯგუფი: იტალია, თურქეთი, ჩეხეთი, სერბეთი.

გოგონები

A ჯგუფი: საქართველო, რუსეთი, თურქეთი, იტალია,

B ჯგუფი: სერბეთი, ბელგია, ჩეხეთი, პოლონეთი.

ხელბურთი

ვაჟები

A ჯგუფი: უნგრეთი, დანია, ნორვეგია, გერმანია ან პოლონეთი,

B ჯგუფი: საქართველო, საფრანგეთი, შვეიცარია, სლოვენია.

გოგონები

A ჯგუფი: დანია, ნორვეგია, გერმანია, ჩერნოგორია,

B ჯგუფი: საქართველო, ჩეხეთი, რუმინეთი, რუსეთი.

ლექსო ცინცაძე

◎ თაობა

ასე იწრთობა... ბალანჩი



ჩვენ უკვე გაგაცანით თბილისის 147-ე საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე ლუკა ჯანუაშვილი, რომელმაც შარშან დედაქალაქის კორტებზე გამართული 10 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა ხუთი ტურნირი მოიგო.

და აი, ნორჩი ტალანტის ახალი წარმატება – ამ დღეებში ვერის პარკმა „ჩოგბურთის განვითარების“ ღია პირველობას უმასპინძლა, სადაც ლუკამ ყველა თანატოლს სძლია, მათ შორის ფინალში – გიორგი ხაჭაპურიძეს – 6:4, 7:6 და კოლექციას მორიგი ჯილდო შემატა.

მაისში წინა აზიის ქვეყნების გუნდური ჩემპიონატი ბათუმში ტარდება ჩვენი ქვეყნის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და თურქეთის ნაკრებების მონაწილეობით. გვჯერა, ამ წერილის გმირი ამჯერადაც ღირსეულად წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს.

გია პლატონიშვილი

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXVI ეროვნული ჩემპიონატი. XXV ტური. „დილა“ – „შუქურა“ 5:2, „ბათუმი“ – „გურია“ 2:1, „ცხინვალი“ – „დინამო“ 4:1, „ზუგდიდი“ – „სამტრედია“ 1:1, „ტორპედო“ – „ჩიხურა“ 1:2, „კოლხეთი“ – „მეტალურგი“ 3:0, „ვიტ ჯორჯია“ – „სიონი“ 2:0, „მერანი“ – „ზესტაფონი“ 3:0 („ზესტაფონი“ გათამაშებიდან მოიხსნა და ყველა დარჩენილ შეხვედრაში ტექნიკური დამარცხება ჩაეთვალა).

სატურნირო მდგომარეობა: „დილა“ – 51, „ბათუმი“ – 48, „დინამო“ – 47, „ცხინვალი“ – 42, „სამტრედია“ – 41, „ჩიხურა“ – 39, „შუქურა“, „ტორპედო“ – 34-34, „გურია“, „კოლხეთი“ – 32-32, „ზუგდიდი“, „მერანი“ – 29-29, „ზესტაფონი“ – 26, „მეტალურგი“ – 24, „სიონი“ – 23, „ვიტ ჯორჯია“ – 19 ქულა.

* * *

იტალია. „ტორინო“ – „იუვენტუსი“ 2:1, „ლაციო“ – „კიევი“ 1:1, „ნაპოლი“ – „სამპდორია“ 4:2, „ინტერი“ – „რომა“ 2:1, „უდინეზე“ – „მილანი“ 2:1.

ესპანეთი. „ესპანიოლი“ – „ბარსელონა“ 0:2, „სელტა“ – „რეალი“ 2:4, „ატლეტიკო“ – „ელჩე“ 3:0, „სევილია“ – „რაიო ვალეკანო“ 2:0, „სოსიედადი“ – „ვილიარეალი“ 0:0.

ინგლისი. „არსენალი“ – „ჩელსი“ 0:0, „სიტი“ – „ასტონ ვილა“ 3:2, „ევერტონი“ – „მანჩესტერი“ 3:0, „ვესტ ბრომვიჩი“ – „ლივერპული“ 0:0, „საუთჰემპტონი“ – „ტოტენჰემი“ 2:2.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ჰერტა“ 1:0, „გლადბახი“ – „ვოლფსბურგი“ 1:0, „კიოლნი“ – „ლევერკუზენი“ 1:1, „ბორუსია“ – „აინტრახტი“ 2:0.

საფრანგეთი. „პსჟ“ – „ლილი“ 6:1, „რეიმსი“ – „ლიონი“ 2:4, „ლანსი“ – „მონაკო“ 0:3.

გიორგი ფოთაძე

◎ უძველ დღეების ჩანაწერები

„მეორე მზე ქართველთა“ ეკრანზე უნდა გაბრწყინდეს!

გუშინწინ რომელიღაც ტელეარხზე უჩვენებდნენ მხატვრულ ფილმს საფრანგეთის დიდი შვილის – ჟანა დარკის ცხოვრების შესახებ.

ადრეც მქონდა ნანახი ეს ფილმი – ერთობ მომნუსხველი შესანიშნავი მსახიობებით, სავსე ბრწყინვალე ბატალური სცენებით... გაცოცხლებულია ისტორია ორლეანელი ქალწულისა, რომელმაც საფრანგეთის მტრებთან საბრძოლველად მამაკაცებს უწინამძღვრა, მტარვალი არ გაახარა და ბოლოს სულისშემძვრელი ტრაგიზმით დაასრულა სიცოცხლე!

შევყურებდი ფილმს და, რა გასაკვირია, ვფიქრობდი, ნეტა, მისცა ქართულ კინოს იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენ გმირ წინაპარ ქალთა, ჩვენ გმირ წინაპარ დედათა სახე გააცოცხლოს ეკრანზე-მეთქი.

არადა, საუკუნეებს შემორჩნენ „სახალხო გმირები“ – მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვნელი... ქეთევან დედოფლის ცხოვრება და მოწამებრივი სიკვდილი ხომ, საერთოდ, უმაგალითოა საქრისტიანოში. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 26 სექტემბერი დააწესა, ხოლო ნიკოლოზ ტფილელმა **„მეორე მზე ქართველთა“** უწოდა წამებულ დედოფალს.

ქართველ კინოოსტატებს არასოდეს დავიწყნიათ გმირი წინაპრები. საბჭოთა პერიოდში, როცა სახელმწიფო მილიონებს ხარჯავდა კინოს აღმავლობისთვის, ისინი ჩვენი მეფეების, მთავარსარდლების თუ უბრალო „სახალხო გმირების“ სამშობლოსათვის თავდადებასაც აცოცხლებდნენ ეკრანზე (სწორედ მაშინ გადაიღო ბატონმა რევაზ ჩხეიძემ „მაია წყნეთელი“, ლეილა აბაშიძე რომ ასრულებს მთავარ როლს).

და თუ ეს ხდებოდა „საერთო სამშობლოში“ ჩვენი არსებობის დროს, განა ახლა, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ასმაგად საშური არ არის ჩვენთა გმირთა წინაპართა არდავიწყება?

მითუმეტეს, როცა დამოუკიდებლობასა და ე. წ. დემოკრატიას, თან შემოჰყვა უცხოურით „გადარევა“, „ამერიკანიზმის“, საერთოდ, კოსმოპოლიტიზმის ქადაგება, ჩვენი მამაპაპური ტრადიციების „ქაჯობად“ მონათვლა, ნიჰილიზმი და უნიჭო ირონია, ახალთაობის სულში საფათურად გამიზნული ფრაზები – „რაღა დროს აკაკია“, „ილია – ასეთ მწერალს არ ვიცნობ“, „სოფლელი გალაკტიონი“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... დამერწმუნეთ, ასმაგად საშურია ზნეობრივი გმირის, ვთქვათ, წმინდა მოწამე ქეთევან დედოფლის ეკრანზე გაცოცხლება.

აწ გარდაცვლილი ჩვენი სახელოვანი მწერლის რევაზ ჯაფარიძის, თუ არ ვცდები, ბოლო რომანი – „მხევალი უფლისა“ – სწორედ ქეთევან დედოფალს ეძღვნება, და თუ ვინმე დაინტერესდება, ალბათ, შეიძლება ამ რომანის მიხედვითაც დაიწეროს კინოსცენარი, თუ არადა, შეიქმნას სრულიად ახალი და ორიგინალური ვერსია, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებელია ქეთევან დედოფლის სახე ეკრანზე იხილოს დამოუკიდებელი საქართველოს ახალმა თაობამ. ვიცი, რომ დღევანდელ პირობებში სახელმწიფო თითქმის ვერაფრით ეხმარება კინემატოგრაფს, ამიტომ, ისევ და ისევ, ჩვენი კულტურის, ხელოვნების მეცენატებმა უნდა გამოიდონ თავი, კარგად უნდა შეიგნონ, რომ ასეთ საქმეში „ჩადებული“ ყველა ლარი, ასმაგად დაუბრუნდება ქვეყანას, მომავალ თაობას გაუცოცხლებს სამაგალითო წინაპარს.

ვანო ჯავახიშვილმა „აიშვა!“

„აიშვა“, რა „აიშვა“ **ვანო ჯავახიშვილმა!**.. ამ ბოლო დროს, „ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ამჩნევს“... რა საქმეა, რაზეც გინდა და ვისზეც გინდა, მიდი და იღადავე, დღევანდელმა ხელისუფლებამ შეიძლება, ნელთბილი საყვედური გამოთქვას, არავინაა დამშლელი და ხმის გამცემი, ჰოდა, ვანოც უბერავს, ღადაობს, იღრიჭება ყველის ვაჭარივით თავის შოუში. გაბედულებაში რომ ჩაეთვალოს, ბიძინა ივანიშვილით იწყებს – აშაყირებს მის საქმიანობას, მის საუბარს, ქართული ენის არცოდნას... და თანდათან გადადის „მეორეხარისხოვან“ მეოცნებეებზე... მოკლედ, ენამახვილობის დარი უდგას ვანოს...

მაგრამ, ერთი, აქეთ მოიხედე ძმაო და შვილო!

– გვესმის, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მადიდებელ „რუსთავი-2“-ის თანამშრომელს, რა თქმა უნდა, არავინ მოგცემდა ნამეტანი ღადაობის უფლებას, თვითონაც ვერ ბედავდი, შეიძლება ციხეში გაეგზანე თვალებბრიალა მიშიკოს და, გინდა-არ გინდა, ზომიერებას იცავდი, ვითომ, ვერ ხედავდი ქვეყნის უკუღმა ტრიალს. ჰოდა, ამ ხელისუფლებამ, მართლაც თავისუფლება რომ მიანიჭა მასმედიას, დრო იშოვე ვანო?!

ვინ გიშლის, ილადავე ნაკლოვანებებზე, სატირისა და იუმორის საქმეც ეგ არის, მაგრამ ნუ გადახვალ დაუკრეფავში. ხალხი ყველაფერს გრძნობს და ხედავს, ნიჭიერებას გაფრთხილებაც უნდა!

ჯიშისა და გენის ფასი

კვირა არ გავა, არ დამირეკოს და არ მომიკითხოს **გურამ გეგეჭკორმა** – სტუდენტობის მეგობარმა, თანაკურსელმა, პოეტური და მსახიობური ნიჭით მადლცხებულმა კაცმა. ვიგონებთ ტელეფონით (ქალაქის ტელეფონით, თორემ მობილურს რა გაუძღებს) დედაუნივერსიტეტში გატარებულ წლებს, მეგობრებს, ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებს, რეპეტიციებს და გამოსვლებს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კლუბის სცენაზე, საიდანაც გურამ გეგეჭკორი დარბაზს აოცებდა თავისი ნიჭიერებით...

რა გასაკვირია, გურამი ხომ ვაჟიშვილია საქართველოს სახალხო არტისტების, რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობების ეკატერინე ვაჩნაძისა და მერაბ გეგეჭკორის.



ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, მაგრამ გენმა მაინც იმძლავრა – რამდენიმე კინოფილმში ითამაშა, პაროდისტის ნიჭი აღმოაჩნდა და ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის სცენიდან კონცერტებით შემოიარა მთელი საქართველო, თუმცა, ეტყობა, მაინც „ლექსები იყო მისი საგზალი“ და, რამდენიმე წლის წინათ, პირველი კარგი კრებულიც გამოსცა.

და აი, ახლახან გურამმა ახალი ლექსების კრებული – **„ლირიკა“** გამომიგზავნა საჩუქრად, რომელშიც ზედმიწევნით იგრძნობთ ნაღდი პოეტის სუნთქვასა და პოეზიით ცხოვრებას.

ჩემი ლექსები მარად თან დამაქვს,
სად არ წავედი, რა არ ვიღონე,
თუმც საკუთარი ციხე არა მაქვს,
ჩემი ლექსების ვარ მეციხოვნე.

– წერს იგი ერთგან.

სავსეა, ხან ნაზი, ხან ამაღლებული სტრიქონებით გურამ გეგეჭკორის ახალი კრებული, რაც, ჩემთვის პირადად მოულოდნელობა არ ყოფილა...

...ტელეფონით ვსაუბრობთ-მეთქი... უკანასკნელ წლებში გურამი ავადმყოფობს, ქალაქში იშვიათად გამოდის და ერთთავად მუზასა და ლექსის სტრიქონებს არის მინდობილი...

ღმერთმა კარგად ამყოფოს დიდი ქართული ოჯახის ღირსეული შვილი!

ვილენ მარდალეიშვილი

განცხადება

სს „ელექტრონიკა-94“ 2015 წლის 21 მაისს, 15 საათზე ატარებს აქციონერთა საერთო კრებას.

დღის წესრიგი:

1. 2013 წლის 31 დეკემბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე საშეურნეო ანგარიში.

მომხსენებელი მთავარი ბუღალტერი: **გურამ ჩიქოვანი**.
მისამართი: კ. გამსახურდიას №14.

რეკლამა
29 3-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ დაუვიწყარი მუსიკა

ახალგაზრდული „კამერტონი“

გერმანელი და ქართველი მუსიკოსები ერთობლივ კონცერტს გამართავენ

საერთაშორისო პროექტ „კამერტონის“ საქართველოს წარმომადგენლობის ახალგაზრდა მუსიკოსები ტრადიციულად, აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩევიან, საგასტროლო ტურნეებამდე კი საქართველოში მართავენ კონცერტებს.

გაერთიანება EuroCon e.V-ის (თავმჯდომარე – **ლიუდმილა ფონ ბერგი**) მიზანს ევროპასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და ჰუმანიტარული მიმართულებებით თანამშრომლობის ხელშეწყობა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ასევე გაერთიანების მიერ ინიცირებული პროექტი „კამერტონი“ (KAMMERTON), რომლის ფარგლებშიც ბოლო წლებში EuroCon e.V-ი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან. აღნიშნული ინიციატივა ხელს უწყობს საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდა გერმანელ და ქართველ მუსიკოსთა ახალი თაობების ჩამოყალიბებას, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ერთა შორის ურთიერთგაგებასა და გერმანელ და ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის პროფესიული თანამშრომლობის განვითარებასა და დაახლოებაში. ინიციატივის ფარგლებში დღემდე განხორციელდა არაერთი ღონისძიება. მათ შორის:

2012 წელს გაიმართა ახალგაზრდა ქართველი „კამერტონელი“ მუსიკოსების შეხვედრა ბერლინის ფილიპ ემანუელ ბახის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეებთან, რომელსაც მხარს უჭერდა და აფინანსებდა ბერლინის სენატი. ამ შეხვედრის ფარგლებში ახალგაზრდა მუსიკოსები ერთი კვირის მანძილზე ერთად გადიოდნენ რეპეტიციებს, რაც შემდეგ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის, საქართველოს საელჩოშიც ბერლინში, გამართულ კონცერტებზე მათი ერთობლივი გამოსვლით დაგვირგვინდა.

შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტში მონაწილე ახალგაზრდა გერმანელი მუსიკოსების ვიზიტი თბილისში, სადაც ბერლინის ფილიპ ემანუელ ბახის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეები და ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები თბილისის გერმანული კვირეულის ფარგლებში ერთად წარსდგნენ ქართველი მსმენელის წინაშე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ამ ღონისძიების მხარდამჭერი იყო ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში.

2013 წელს გერმანიის ქალაქ ბაიროითის სააღდგომო ფესტივალში მონაწილეობას 30 ქვეყნის 90 მუსიკოსს შორის ქართველი „კამერტონელებიც“ იღებდნენ. იმავე წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა ორი კონცერტი თბილისში გოეთეს ინსტიტუტსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში.

2013 წლის აპრილის ბოლოს გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეოხებით 6 ქართველი მუსიკოსი კვლავ ეწვია გერმანიას. მათ 7 გამოსვლა ჰქონდათ ბერლინში (მათ შორის, საელჩოს კულტურული ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს საელჩოშიც), ასევე, ფრანკფურტსა და ჰესენის ფედერალური მიწის სხვა ქალაქებში, მათ შორის, გერმანიის ნიჭიერთა ხელშეწყობ მუსიკის საერთაშორისო აკადემიაში ახალგაზრდა გერმანელ მუსიკოსებთან ერთად. კონცერტების გარდა, ქართველმა მუსიკოსებმა მასტერკლასები გაიარეს გერმანიის მუსიკალური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან.

„კამერტონის“ ქართველი მუსიკოსები („კამერტონი-საქართველოს“ მუსიკალური ხელმძღვანელი კირა ლელაშვილი, ნატა როინიშვილი – ვიოლინო, თათა მახარაძე – ფორტეპიანო, გიორგი ოიკაშვილი - კლარნეტი, ლევან უგულავა – ფორტეპიანო) 2014 წელსაც (აპრილი-მაისი) წარმატებით წარსდგნენ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში მსმენელთა წინაშე. ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა რიხარდ ვაგნერის საზოგადოებაში გამართული კონცერტი, რომლის წარმატებამაც განაპირობა 2015 წელს „კამერტონის“ კვლავ მიწვევა საკონცერტოდ (ასევე, ამ საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით გიორგი ოიკაშვილი გახდა რიხარდ ვაგნერის სახელობის სტიპენდიატი). წლეულს ქართველი „კამერტონელები“ მიწვეულნი არიან ქალაქ ბად ჰერსფელდში კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე ორი კონცერტის გასამართად. კონცერტები ასევე გაიმართება გერმანიის სხვა ქალაქებში.

საგულისხმოა, რომ გერმანიაში გამგზავრებამდე „კამერტონი“ რამდენიმე კონცერტს მართავს ხოლმე თბილისის სხვადასხვა საკონცერტო სივრცეში. 29 აპრილს



„კამერტონის“ კონცერტი გაიმართება ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში. მსმენელთა წინაშე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგებიან „კამერტონელები“ – გიორგი ოიკაშვილი, ნატა როინიშვილი, თათა მახარაძე, ლევან უგულავა.

როგორც აღინიშნა, „კამერტონის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის პროფესიული თანამშრომლობის განვითარებისა და დაახლოების ხელშეწყობა. ამ მხრივ საგულისხმოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, – გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბერლინის გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით 1 და 2 მაისს თბილისსა და ქუთაისში გაიმართება კამერული მუსიკის კონცერტები ბერლინის კონსერვატორიის სტუდენტური საფორტეპიანო ტრიოსა (იაკობ ლემანი, ოსკარი პენანენი, ჰერმეს ჰელფრიხტი) და სხვადასხვა თაობის „კამერტონელების“ (გიორგი ოიკაშვილი, სენდი ვართანოვა, ანი გიგაური) მონაწილეობით. ახალგაზრდა გერმანელი და ქართველი მუსიკოსების პროგრამაშია ჰენდელის, შუბერტის, შუმანის, დვორჟაკის, სტრავინსკისა და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები.

1 მაისს თბილისში კონცერტს უმასპინძლებს გოეთეს ინსტიტუტი (ქართველმა „კამერტონელებმა“ გოეთეს ინსტიტუტში შარშანაც დაუკრეს გერმანული დღეების „სამი ქვეყანა – ერთი ენა; გერმანია, ავსტრია, შვეიცარია“ ოფიციალურ გახსნაზე), 2 მაისს კი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში ქართველი და გერმანელი მუსიკოსები შთამბეჭდავ კონცერტს ქუთაისქალაქობის დღესასწაულს მიუძღვნიან.

ზურაბ ოიკაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

◎ ამინდი

სიცხე კი იქნება, ოღონდ არა ისეთი, როგორითაც გვაშინებენ

ბოლო დროს, მასმედიის სხვადასხვა გამოცემაში ხშირად შეხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ საყოველთაო დათბობის შედეგად, ზამთრის პერიოდი გაცილებით ცივი იქნება და განსაკუთრებით ეს ევროპაში შეიგრძნობა.

ამერიკელ კლიმატოლოგების განცხადებით, უახლოეს 10-15 წელიწადში, დედამიწაზე საშუალოდ წლიური ტემპერატურა ცელსიუსის 1,5 გრადუსით მოიმატებს და ეს... საშინელ ყინვებს გამოიწვევს.

ბუნებრივია, რომ გლობალური დათბობის შედეგად, დედამიწაზე კლიმატი გაცილებით ცვალებადი გახდა, უფრო მეტი სტიქიური უბედურება ხდება, ზაფხულში სულ უფრო მეტად ცხელა, ზამთარში კი გაცილებით უფრო ცივა. განსაკუთრებით ძლიერად დათბობა შუა განედებზე იგრძნობა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი სპეციალისტი ამერიკელი კოლეგების მტკიცებას არ იზიარებს, რადგან მომავალ ათწლეულში საშუალო წლიური ტემპერატურის 1,5 გრადუსით მომატების პროგნოზი მცდარად მიაჩნიათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბოლო 100 წლის მანძილზე დედამიწაზე ტემპერატურამ მხოლოდ 0.7 გრადუსით მოიმატა.

ნინო ალექსანდრია

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ჩვენი კარაბადინი

სახიფათო ვითარება

ძილის დარღვევას ესტონეთში მეტად სერიოზულად ეკიდებიან

ხვრინვა — ესაა გავრცელებული ღამის „მუსიკა“. ზოგჯერ მას ახლავს შეჩერებები სუნთქვაში. თუ ისინი ხშირად ხდება და 10 წამზე მეტ ხანს გრძელდება — საკითხი შეეხება სერიოზულ დაავადებას — ძილის ობსტრუქციულ აპნოეს. რა მეთოდებს იყენებენ მისი მკურნალობისათვის? გესაუბრებით ესტონეთის გამოცდილების შესახებ.

ჩვენი ექსპერტია — პულმონოლოგი, ესტონეთის ჩრდილო-დასავლეთის რეგიონალური საავადმყოფოს სომნოლოგი, ესტონეთის სომნოლოგიის საზოგადოების პრეზიდენტი ქალბატონი ერვე სიირუ.

ვინაა დარტყმის ქვეშ?

ღამის აპნოეს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან მივყავართ: არითმიასთან, მიოკარდიუმის ინფარქტთან, ინსულტთან. ზოგჯერ დიაბეტთან ან სიმსუქნესთან.

ყველაზე ხშირად აპნოე აწუხებს 35-65 წლის ადამიანებს. თუმცა, მან შეიძლება თავი შეგვახსენოს ნებისმიერ ასაკში, თუ ადამიანს ზედმეტი წონა აქვს. აპნოე ყველაზე მეტად მამაკაცებს აწუხებს. მეცნიერებმა განსაზღვრეს, რომ ძილში ხვრინავს თითქმის ყველა, აპნოე კი შენიშნებათ ძლიერი სქესის 24 პროცენტს და ქალების მხოლოდ 9 პროცენტს.

ასევე ექიმებმა შეძლეს, დაედგინათ, რომ ძილის დროს სუნთქვის დარღვევა აწუხებს ჰიპერტონიკების 83 პროცენტს, ზედმეტი წონის პაციენტების 77 პროცენტს, გულის უკმარისობის მქონე ადამიანების 76 პროცენტსა და დიაბეტიკების 48 პროცენტს.

საჭესთან — არ დაიძინოთ!

ევროკავშირის გამოცდილება გვიჩვენებს: აპნოე — ეს არა მხოლოდ საფრთხეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, არამედ პრობლემაც მთელი საზოგადოებისთვის. სუნთქვის ღამისეული სირთულეები აუარესებენ ძილის ხარისხს, მათი შედეგი კი ხდება დღისით ძილი, შრომისუუნარობის, შრომის ნაყოფიერების დაქვეითება. და, რაც მთავარია: დაღლილი, უძინებელი ადამიანი როდესაც საჭეს მიუჯდება, შეიძლება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის პროვოცირება მოახდინოს.

2016 წელს ევროკავშირში ძალაშიც კი შევა სპეციალური დირექტივა, რომლის მიხედვითაც ყველა მძღოლს, ვისაც აწუხებს ჰიპერტონია ან სიმსუქნე, იძულებით გაგზავნიან შემოწმებაზე ძილის ხარისხთან დაკავშირებით ექიმ-სომნოლოგთან. რომ ავარიული სიტუაციები არ შექმნან.

ყველას უმკურნალებენ — გამოაჯანმრთელებენ

შარშან სექტემბერში ტალინში გაიმართა ძილის შესწავლის ევროპის საზოგადოების კონგრესი. მასზე 1600 ექიმი მსოფლიოს 66 ქვეყნიდან განიხილავდა ძილის პრობლემებს, მათ შორის აპნოესაც, და მათი გადაწყვეტის საშუალებებს. აპნოეს მკურნალობის მეთოდი ბევრია. იმისათვის, რომ შეარჩიოს შესაბამისი საშუალება, ექიმი იკვლევს მას. სავალდებულო პროგრამაში შედის პოლისომნოგრაფია — დიაგნოსტიკური პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა, თვალყური გავადევნოთ, თუ როგორ მუშაობს ორგანიზმი, სანამ ადამიანს სძინავს.

ზოგიერთმა ადამიანმა, ვისაც ღამით სუნთქვის შეჩერება აწუხებს, უნდა მიიღოს წამლები. ზოგჯერ პაციენტები ღამით იყენებენ სპეციალურ სასუნთქ აპარატებს, რომლებიც წნევის ქვეშ აწვდიან ჰაერს ბრონქებში, ხსნიან სასუნთქ გზებს და არ აძლევენ მათ საშუალებას, რომ ძალიან შევიწროვდნენ. ზოგჯერ საჭიროა ოპერაციაც, მაგალითად, თუ სუნთქვის შეჩერება დაკავშირებულია ყბის აგებულების დარღვევასთან, ცხვირის ძგიდის გაღუნვასთან ანდა ცვლილებებთან ყელის რბილ ქსოვილებში. საერთოდ სომნოლოგია — ესაა მედიცინის დარგი, რომლის მუშაობაში იზიდავენ სხვადასხვა სპეციალისტებს: პულმონოლოგებს, ნევროლოგებს, ფსიქიატრებს, ოტოლარინგოლოგებს, ორთოდონტებს, სტომატოლოგებს, ყბა-სახის ქირურგებს. ძილის დარღვევა ხომ სხვადასხვა დაავადებას იწვევს.

ვსუნთქავთ და... ვხდებით

არიან პაციენტები, რომლებმაც იმისათვის, რომ გათავისუფლდნენ აპნოესაგან, უბრალოდ, უნდა დაიკლონ წონაში. თუმცა ყოველთვის როდია გასაგები, არის სიმსუქნე სუნთქვის შეჩერების მიზეზი თუ მისი შედეგი. ესტონელმა ექიმებმა შენიშნეს, რომ აპნოეს მკურნალობის ფონზე ბევრი მათი პარტნიორი ხდება — წონა იკლებს 10-20 კილოგამით, ხდება მთელი 40 კილოგრამითაც კი. საიდუმლო აქ მარტივია. აპნოეს დროს ორგანიზმის ქსოვილები ცუდად მარაგდებიან ჟანგბადით, რაც აუცილებელია ნივთიერებათა ნორმალური გაცვლისათვის. ხოლო, სადაც გაცვლითი პროცესები დარღვეულია — იქ არაა კოხტა ფორმებიც.

უნდა დავიმახსოვროთ

იმისთვის, რომ შევამციროთ ძილთან დაკავშირებული პრობლემების გაჩენის რისკი, სპეციალისტები გვირჩევენ:

- **ივახშმეთ არა უგვიანეს 4 საათისა მანამდე, სანამ დასაძინებლად დაწვებოდეთ;**
- **ძილის წინ ნუ მიიღებთ ალკოჰოლს, ის, რასაკვირველია, მოქმედებს, როგორც ანტიდეპრესანტი, მაგრამ ძილის ხარისხი არაფხიზელ ადამიანს უქვეითდება, და გამოძინებასაც ვეღარ ვახერხებთ;**
- **დაწექით დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს.**

◎ ცინცხალი ანეკდოტები

გახსოვდეთ: სიყვარულის ცეცხლი გაცილებით ხალისიანად იგიზგიზებს, თუ კი მას დროდადრო ფულს შეუკეთებთ.

* * *

ზოგადად, ქალის მართვის სამი სრულიად საიმედო ხერხი არსებობს, ოღონდ ისინი კაციშვილმა არ იცის.

* * *

ამდენი ხანია კაცობრიობა არსებობს, მაგრამ დღემდე არავინ იცის, რა არის უარესი: გააზრებული შუღლი თუ უაზრო მეგობრობა?

* * *

— **რა** ვქნა, აღარ ვიცი, ჩემი ფუნთუშა ცოლი — ნამდვილი ვინი-პუხია: ყოველ დილით ჭამს ათ ცალ თაფლის კვერს, რომელსაც თაფლში აწობს და თაფლიან ჩაის აყოლებს!

* * *

სამი ქერათმიანი მანდილოსანი ჭორაობს:

— ჩემმა ქმარმა ახალი უზარმაზარი პლაზმური ტელევიზორი მიყიდა, ახლა წამოწოლილი ვარ ტახტზე, ნაირ-ნაირ გადაცემებს ვუცქერ.

— მე კიდე ქმარმა საშინაო კინოცენტრი მიყიდა, სახლიდან გაუსვლელად ყველა ახალ კინოფილმს ვნახულობ! — ამბობს მეორე.

— შენ რაღა გიყიდა შენმა ქმარმა, შე საწყალო? — ეკითხებიან მესამე დაქალს, რომელიც ხმას არ იღებს.

— არაფერიც არ მიყიდა, ასე მითხრა, ისეთი კარგი და ლამაზი ხარო, შენი წაყვანა ჯერ კიდევ ყველგან შეიძლება — კინოშიც, თეატრშიც, რესტორანშიც...

* * *

— **რა** უცნაური კაცია ეს კუკურა — მოვიდა გუშინ ჩვენ მაგიდასთან რესტორანში, აგვირია სუფრა, გაგვიფუჭა ყველას გუნება და წავიდა!

— აბა, რა გინდოდა — სუფრა აერია, ყველასთვის გუნება გაეფუჭებინა და მერე კიდევაც დარჩენილიყო?..

◎ კადრი

კვამლისფერი ჯიქის ახალშობილები გაჩნდნენ ბელგიის ზოოპარკში. სულ მსოფლიოში ჯიქის ასეთი სახეობის 10 ათასი ერთეულიღა დარჩა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24